პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 32-ე წელი

კვირა, 28 ოქტომბერი, 1951 წ. № 255 (9109). ფასი 20 კაპ.

საბჭოთა კავშირის მშრომელებო! ვოლგასა და დნეპრზე, დონსა და ამუ-დარიაზე დიად მშენებლობათა წარმატებით განხორციელებით შევიტანოთ ახალი წვლილი კომუნიზმის მშენებლობის საქმეში!

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებიდან

## ქართველი ხალხი მშვიდობისათვის ბრძოლაში

მიმდინარე წლის სექტემბერში მთელ ჩვენს ქვეყანაში დაიწყო მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე ხელმოწერის შეგროვების კამპანია.

მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის ცნობით, კამპანიის დაწყებიდან 10 ოქტომბრამდე ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვას ხელი მოაწერა 96.729.946 საბჭოთა მოქალაქემ. ხელმოწერა დიდი წარმატებით გრძელდება. მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე ერთსულოვანი ხელმოწერა დიდი საბჭოთა სახელმწიფოს ხალხების მშვიდობისმოყვარეობის ნათელ გამოხატულებას წარმოადგენს.

საბჭოთა სახელმწიფოს სამშვიდობო პოლიტიკა ჩვენი დიდი სამშობლოს სოციალისტური ბუნებიდან გამომდინარეობს. საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ისტორია მისი არსებობის 34 წლის მანძილზე ხალხთა შორის მშვიდობის, ერთა თანასწორუფლებიანობისა და მეგობრობისათვის თანმიმდევრული და დაუღალავი ბრძოლის ისტორიაა. ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლო, პროგრესული კაცობრიობის იმედი და სიამაყე, მშვიდობის დიდი მედროშე და ბურჯი, მშვიდობისა და ხალხთა უშიშროებისათვის ბრძოლის ავანგარდში დგას.

ამ დღეებში ერთხელ კიდევ უდიდესი სიძლიერით გაისმა საბჭოთა ადამიანების მშვიდობის ხმა, დიდი სტალინის მოწოდება მშვიდობისაკენ. ატომური იარაღის თაობაზე „პრავდის" კორესპონდენტისადმი ამხანაგ ი. ბ. სტალინის პასუხში სტალინური სიმკვეთრით არის გადმოცემული საბჭოთა სახელმწიფოს სამშვიდობო პოლიტიკა, საბჭოთა ადამიანების შეურყეველი გადაწყვეტილება ბოლომდე დაიცვან მშვიდობის კეთილშობილური საქმე. მშვიდობისმოყვარე ხალხები უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ ამხანაგ სტალინის ამ მოწოდებას მშვიდობისაკენ.

მშვიდობისათვის მებრძოლთა ავანგარდში სხვა მოძმე საბჭოთა ხალხებთან ერთად დგას ქართველი ხალხიც. მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე ხელმოწერის კამპანიის დაწყებიდან 10 ოქტომბრამდე მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვას საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში ხელი მოაწერა 2.181.061 კაცმა. ხელმოწერა გრძელდება. საქართველოს მშრომელების მხრივ ერთსულოვანმა ხელმოწერამ მშვიდობის საბჭოს მიმართვაზე ერთხელ კიდევ ცხადყო ქართველი ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, მისი მტკიცე გადაწყვეტილება სხვა თავისუფლებისმოყვარე ხალხებთან ერთად დაიცვას მშვიდობის დიადი საქმე, მისი უსაზღვრო ერთგულება და სიყვარული მშვიდობის დიდი მედროშის — ამხანაგ სტალინისადმი.

ქართველი ხალხი საბჭოთა კავშირის სხვა მოძმე ხალხებთან ერთად, მსოფლიოს ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხებთან ერთად გმობს ამერიკელ-ინგლისელ იმპერიალისტებს, რომლებიც ცდილობენ ახალი ომის საშინელება თავს მოახვიონ მსოფლიოს ხალხებს. მშვიდობისათვის მოძრაობა დიდ სახალხო მოძრაობად იქცა. ქართველ ხალხს ღრმად სწამს დიდი სტალინის სიტყვები: „მშვიდობა შენარჩუნებულ და განმტკიცებულ იქნება, თუ ხალხები მშვიდობის შენარჩუნების საქმეს თავიანთ ხელში აიღებენ და ბოლომდე დაიცავენ მას".

ქართველი ხალხის ბედნიერება მშვიდობიან ცხოვრებაშია. რუსთავის მეტალურგიული გიგანტი, ქუთაისის საავტომობილო ქარხანა, სამგორის სარწყავი სისტემა, რომლებითაც სამართლიანად ამაყობს ქართველი ხალხი, საქართველოს მშრომელების მშვიდობიანი შრომისა და ცხოვრების ნაყოფს წარმოადგენს. მშვიდობის მომხრეთა საქართველოს რესპუბლიკური კონფერენციის დელეგატმა ჭიათურელმა მაღაროელმა ანტონ ზაზაძემ შემდეგი სიტყვებით გამოთქვა საბჭოთა ხალხების მისწრაფება მშვიდობისაკენ: „შეხედეთ ახლა ჩვენს მაღაროს. აქ ყველაფერი შეიცვალა, იგი ქალაქის ტიპის დასახლებული პუნქტია... გადახედეთ მარგანეცის ქალაქს. იქაც ხომ ბევრი რამ ახალი კეთდება. და განა იმიტომ ვაშენებთ, რომ კვლავ დაინგრეს? არა, ჩვენ ომი არასოდეს არ გვსურდა და არც გვსურს! ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, მშვიდობიანი შრომის მოყვარენი ვიყავით, ვართ და ვიქნებით".

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე ხელმოწერის შეგროვების კამპანიამ გამოიწვია საბჭოთა ადამიანების პოლიტიკური და შრომითი აქტივობის შემდგომი ამაღლება. საბჭოთა ადამიანებს ესმით, რომ საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური ძლიერება მშვიდობის შენარჩუნების მთავარ პირობას წარმოადგენს. შრომის ფრონტზე საბჭოთა ადამიანების ყოველი გამარჯვება ომის გამჩაღებელთა ბანაკის დამარცხებაა. საქართველოს მშრომელები შრომითი აქტივობის ამაღლებით განამტკიცებენ თავიანთ ხელმოწერას მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე. შილდის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა ვასილ ცისკარიშვილმა, დიდი სიხარულით მოაწერა რა ხელი მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვას, განაცხადა: „ჩემი წინადადებაა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე ხელმოწერასთან დაკავშირებით ვიკისროთ ვალდებულება: საშემოდგომო თესვა ვადაზე ორი კვირით ადრე დავამთავროთ; გეგმის გადაჭარბებით 50 ჰექტარი დავთესოთ; სახელმწიფოს წინაშე ყველა სახის ვალდებულება შევასრულოთ 7 ნოემბრისათვის".

საქართველოს მშრომელები — მაღაროელები, მემანქანეები, რკინიგზელები, ფეიქრები, ზეინკლები, მეფოლადეები დგებიან მშვიდობის ვახტზე. მეტი ქვანახშირი, მეტი მანქანა, მეტი ფოლადი დიდი სოციალისტური სამშობლოს ძლიერებისათვის, მშვიდობის დაცვისათვის — ასეთია მათი დევიზი. გმირულ შრომას ეწევიან ქართველი კოლმეურნეები. ჩვენს პრესაში ქვეყნდება საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე რაიონებიდან გამოგზავნილი პატაკები ყურძნის, ჩაის, თამბაქოს, მატყლის და სხვათა დამზადების სახელმწიფო გეგმების ვადამდე შესრულების შესახებ. ეს პატაკები ნათლად მეტყველებენ საბჭოთა საქართველოს სოციალისტური სოფლის მეურნეობის მუშაკთა აზრსა და გრძნობას, მათს ურყევ გადაწყვეტილებას — ენერგიის დაუზოგავად იბრძოლონ სოციალისტური სამშობლოს ძლიერების განმტკიცებისათვის. დაუღალავი მუშაობით მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს დიდ სამშვიდობო მოძრაობაში ქართველ ინტელიგენციას—მეცნიერებს, მწერლებს, ექიმებს, მხატვრებს, მუსიკოსებს, მასწავლებლებს.

საბჭოთა ხალხები, რომლებიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 34-ე წლისთავს ხვდებიან ახალ-ახალი ისტორიული გამარჯვებებით კომუნიზმის მშენებლობის ფრონტზე, თავიანთ დიდ დღესასწაულს აღნიშნავენ მშვიდობისათვის ბრძოლის შემდგომი განმტკიცების ნიშნით. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი, რომლებშიც დიდი საბჭოთა ხალხის მშვიდობის ხმა გაისმა, აღფრთოვანებენ მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, სოციალიზმისათვის მებრძოლთ:

**— ძმური სალამი ყველა ხალხს, რომლებიც იბრძვიან აგრესორთა და ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, სოციალიზმისათვის!**

მშვიდობისათვის მოძრაობის ავანგარდში მდგომი საბჭოთა ადამიანები არ თხოულობენ მშვიდობას, ისინი იბრძვიან მშვიდობისათვის. ისტორიის გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ საბჭოთა ადამიანების ბრძოლა ყოველთვის მათი ბრწყინვალე გამარჯვებით მთავრდება.

საბჭოთა ადამიანებმა, მთელი მსოფლიოს მოწინავე ადამიანებმა, რომლებიც მშვიდობისათვის იბრძვიან, თავიანთ დროშას დააწერეს დიდი სტალინის სახელი. სტალინის დროშით საბჭოთა ადამიანებმა მოიპოვეს ისტორიული გამარჯვებები სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე. სტალინის დროშით საბჭოთა არმიის მამაცმა მებრძოლებმა სასიკვდილო ლახვარი ჩასცეს გერმანიის ფაშიზმს, იაპონიის მილიტარიზმს და ევროპისა და აზიის მილიონობით ადამიანები ფაშისტური მონობის უღლისაგან იხსნეს. სტალინის დროშით საბჭოთა ხალხები მტკიცე ნაბიჯით მიდიან კომუნიზმისაკენ. სტალინის დროშით მსოფლიოს ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხებთან ერთად საბჭოთა ხალხი დაიცავს მშვიდობას.

## ვ. ი. ლენინის თხზულებათა ოცდამეთორმეტე ტომი ლატვიურ ენაზე

**რიგა.** (საქტასი). ლატვიის სახელმწიფო გამომცემლობამ ლატვიურ ენაზე გამოსცა ვ. ი. ლენინის თხზულებათა ოცდამეთორმეტე ტომი.

თარგმანი რუსული გამოცემიდან შეასრულა ლატვიის კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა პარტიის ისტორიის ინსტიტუტმა — საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ფილიალმა.

## საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება

### სასახელო მაჩვენებლებით

**რუსთავი.** (საკ. კორ.). ქალაქის სამშენებლო ორგანიზაციებს შორის გაშლილ საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში სასახელო მაჩვენებლებს აღწევს ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის სატრანსპორტო მშენებლობის კოლექტივი (უფროსი ე. კრომსკი). აქ სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლით, მოწინავეთა გამოცდილების განზოგადებით, მუშაობაში საათობრივი გრაფიკის ზუსტად დაცვით 9 თვის გეგმა მნიშვნელოვანი გადამეტებით შეასრულეს. მესამე კვარტალში გზების გაყვანის, ქუჩების მოასფალტების, წყალსადენისა და კანალიზაციის მილების ჩაწყობის გეგმა 135.3 პროცენტით გაანაღდეს და მშენებლობის გაიაფებით 490 ათასი მანეთი ეკონომია გასწიეს.

სამშენებლო უბნებს შორის ყველაზე მოწინავეა მეორე უბანი, რომელმაც სექტემბრის დავალება 78 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულა. უბნის მოწინავე სტახანოველები ზეინკალი შ. ლაცაბიძე, დურგალი ზ. გაგნიძე, მიწის მთხრელი ი. ზელენეცკი და სხვები დღეში ორ-ორ ნორმას ასრულებენ.

სატრანსპორტო მშენებლობის კოლექტივმა დიდი ოქტომბრის 34-ე წლისთავთან დაკავშირებით იკისრა წლიური გეგმა 5 დეკემბრისათვის შეასრულოს და ოქტომბერში 100 ათასი მანეთით შეამციროს მშენებლობის ღირებულება.

### აუმჯობესებენ ხარისხს, ზოგავენ ნედლეულს

— ვიბრძოლოთ ფაბრიკის გარდამავალი დროშის მოპოვებისათვის! — ამ გადაწყვეტილებით მუშაობდა თბილისის მეორე სამკერვალო ფაბრიკის მეორე საამქროს კოლექტივი და გამარჯვებასაც მიაღწია: მესამე კვარტალის შედეგების მიხედვით საამქროს გარდამავალი დროშა გადაეცა. საამქრო მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით მუშაობს ოქტომბერშიც. ოქტომბრის ორ დეკადაში გასულ თვესთან შედარებით აქ 3 პროცენტით გაადიდეს პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვება, ხოლო დღიურ გეგმებს 5 პროცენტით გადააჭარბეს.

ფაბრიკაში საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შედეგად დაწინაურდნენ ახალი ბრიგადები და მუშები. შარვლების მკერავთა ბრიგადა, რომელსაც თამარ ჯიმშელაძე ხელმძღვანელობს, დღიურ დავალებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებს. ბრიგადამ სამ თვეში 25.000 მეტრი ძაფი დაზოგა. მკერავთა ბრიგადა მ. მარტიროსოვის ხელმძღვანელობით დღიურ გეგმებს 35 პროცენტით აჭარბებს. მესამე კვარტალში ბრიგადამ 4.071 მანეთი ეკონომია გასწია.

ფაბრიკის კოლექტივმა საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას იკისრა წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით 987.700 მანეთის მზა ნაწარმი გამოუშვას, თვითღირებულება 0.5 პროცენტით შეამციროს, თარგების კომბინირებული დალაგებით მეოთხე კვარტალში გასწიოს 725 მეტრი სხვადასხვა ქსოვილის ეკონომია.

### როგორ ასრულებენ მეჩაიეები ნაკისრ ვალდებულებებს

**აჭარელმა** მეჩაიეებმა ვალდებულების ანგარიშში მოკრიფეს 1.400,4 ტონა ჩაის ფოთოლი, ვალდებულება კი 2.650 ტონის მოკრეფას ითვალისწინებს.

**აფხაზეთის** მშრომელებს ვალდებულება აქვთ ნაკისრი წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 2.000 ტონა ჩაის ფოთოლი. ვალდებულების ანგარიშში 25 ოქტომბრისათვის მოკრეფილია 1.201,6 ტონა ჩაი.

**მახარაძის** რაიონში გეგმის გადამეტებით მოკრეფილია 1.640,5 ტონა ჩაის ფოთოლი. ვალდებულებით უნდა მოიკრიფოს 2.200 ტონა.

**ზუგდიდის** რაიონის მშრომელებმა ვალდებულების ანგარიშში მოკრიფეს 697,5 ტონა ჩაის ფოთოლი, ვალდებულება 1.000 ტონის მოკრეფას ითვალისწინებს.

**ლანჩხუთის** რაიონის მეჩაიეებს ნაკისრი ჰქონდათ ვალდებულება წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოსათვის ჩაებარებინათ 800 ტონა ჩაის ფოთოლი. მეჩაიეებმა უკვე მოკრიფეს 802,5 ტონა ჩაი.

**ჩხოროწყუს** რაიონის მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 600 ტონა ჩაის ფოთოლი. მოკრეფილია 439,5 ტონა ჩაი.

**გეგეჭკორის** რაიონს ნაკისრი ჰქონდა ვალდებულება წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოსათვის ჩაებარებინა 600 ტონა ჩაის ფოთოლი. კოლმეურნეებმა ვალდებულება გაანაღდეს და მოკრიფეს 605,9 ტონა ჩაი.

**წალენჯიხის** რაიონს გეგმის გადამეტებით მოკრეფილი აქვს 189,8 ტონა ჩაის ფოთოლი, ვალდებულებით უნდა მოკრიფოს 600 ტონა.

**ჩოხატაურის** რაიონს ნაკისრი ჰქონდა ვალდებულება წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოსათვის ჩაებარებინა 500 ტონა ჩაის ფოთოლი. კოლმეურნეობებმა უკვე მოკრიფეს 512,1 ტონა ჩაი.

**ცხაკაიას** რაიონმა გეგმის გადამეტებით მოკრიფა 218,4 ტონა ჩაის ფოთოლი, ვალდებულებით უნდა მოკრიფოს 300 ტონა.

**ტყიბულის** რაიონში ვალდებულების ანგარიშში მოკრეფილია 192,7 ტონა ჩაის ფოთოლი, ვალდებულება 300 ტონის მოკრეფას ითვალისწინებს.

**წულუკიძის** რაიონში ვალდებულებით უნდა მოკრეფილიყო 250 ტონა ჩაის ფოთოლი, მოკრიფეს 167,3 ტონა.

**ხობის** რაიონმა ვალდებულება იკისრა გეგმის გადამეტებით მოკრიფოს 250 ტონა ჩაის ფოთოლი. უკვე მოკრეფილია 209,8 ტონა.

**ქუთაისის** რაიონში ვალდებულების ანგარიშში მოკრიფეს 48,6 ტონა ჩაის ფოთოლი, უნდა მოკრიფონ 150 ტონა.

**სამტრედიის** რაიონმა ვალდებულება იკისრა წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფოს 120 ტონა ჩაის ფოთოლი, კოლმეურნეებმა ვალდებულება გაანაღდეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 139,1 ტონა ჩაის ფოთოლი.

### 70 ტონა ზეგეგმითი პროდუქცია

— სასაქონლო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა შევასრულოთ 21 დეკემბრისათვის, წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამოვუშვათ 70 ტონა მზა ნაწარმი, დავზოგოთ ნედლეული, ქიმიკატები და ელექტროენერგია, — ასეთია თბილისის ტყავის პირველი ქარხნის კოლექტივის ვალდებულება საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ქარხნის კოლექტივი სტახანოვურ ვახტზე დგას და მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს აღწევს. მესამე კვარტალში ტყავის დამმუშავებლებმა 108 პროცენტით შეასრულეს გეგმა, საგრძნობი რაოდენობით დაზოგეს ნედლეული, ქიმიკატები და ელექტროენერგია.

განსაკუთრებით დაწინაურდა სათრიმლავი საამქრო (უფროსი შ. სარადიანი), რომელიც მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მოპოვების, წარმოების კულტურის ამაღლებისა და სამუშაო პროცესების მკვეთრად გაუმჯობესებისათვის წარდგენილია საუკეთესო ხარისხის საამქროს წოდების მოსაპოვებლად. ამ საამქროს ა. ლომოურცევის ბრიგადამ, რომელიც მ. მუხანოვისა და გ. ლევჩენკოს მეთოდით მუშაობს, გადაჭარბებით შეასრულა სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი სექტემბრის ვალდებულება, ხუთი პროცენტით დაზოგა დამხმარე მასალები და საგრძნობლად შეამცირა თვითღირებულება. მთრიმლავი მ. მურადოვი გამომუშავების დღიურ ნორმებს 150-180 პროცენტით ასრულებს.

მაღალნაყოფიერად მუშაობს ტყავის გამომყვანი საამქრო (უფროსი ი. ჩარგეიშვილი), სადაც სექტემბერში ოთხი პროცენტით გადააჭარბეს საგეგმო დავალებას, ამავე დროს გააუმჯობესეს პროდუქციის ხარისხი, დაზოგეს დამხმარე მასალები. ტყავის გამომყვანები გრ. კვაჭაძე და მ. კრივოხიჟინი გამომუშავების დღიურ ნორმებს 40-50 პროცენტით აჭარბებენ. კვალიფიციურ მუშებთან ერთად საამქროს წარმატებას თავიანთი ენერგიული შრომით ხელს უწყობენ დამხმარე მუშები ნინო შოშიაშვილი, ანასტასია ლუნინა და სხვები.

## საშემოდგომო თესვა

საქართველოს სს რესპუბლიკაში 23 ოქტომბრისათვის დათესილია საშემოდგომო თავთავიანი მარცვლეული კულტურები 187.654 ჰექტარი, ანუ გეგმის 52.9 პროცენტი.

ახალქალაქის რაიონში საშემოდგომო თესვის გეგმა შესრულებულია 79.5 პროცენტით, ბოგდანოვკის — 100.2, ახალციხის — 63.9, ადიგენის — 29.9, ასპინძის — 32.2, ხაშურის — 31.3, ქარელის — 58.3, გორის — 54.4, კასპის — 52.3, ბორჯომის — 33.8, წალკის — 100.7, დუშეთის — 36.5, თეთრი წყაროს — 31,2, თიანეთის — 67.9, გურჯაანის — 30.9, კაჭრეთის — 53.7, სიღნაღის — 62, წითელწყაროს — 78, თელავის — 53.6, ახმეტის — 48.4, ყვარლის — 57.8, ლაგოდეხის — 51.2, გარეუბნის — 54.3, მცხეთის — 63.1, გარდაბნის — 50.4, მარნეულის — 39.4, ბოლნისის — 36.9, საგარეჯოს — 66.4, დმანისის — 89,3, ჭიათურის — 39.6, საჩხერის — 48,5, ორჯონიკიძის — 38.9, ონის — 62.9, ამბროლაურის — 68,1, ცაგერის — 35, ქვემო სვანეთის — 26.3, ქლუხორის — 15.6, ხოლო სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 29.3 პროცენტით.

## კარტოფილის მოსავლის აღება

25 ოქტომბრისათვის რესპუბლიკაში აღებულია კარტოფილის მოსავალი 7.886 ჰექტარზე, რაც გეგმის 41.5 პროცენტს შეადგენს.

ახალქალაქის რაიონში კარტოფილის აღების გეგმა შესრულებულია 34.6 პროცენტით, ბოგდანოვკის — 28.5, ახალციხის — 48.8, ადიგენის — 12.5, ასპინძის — 16.1, ხაშურის — 68.4, ქარელის — 35.4, გორის — 23.9, კასპის — 20,2, ბორჯომის — 24,6, წალკის — 49.6, დუშეთის — 53.6, თეთრი წყაროს — 51.9, თიანეთის — 61.2, თელავის — 88.5, ლაგოდეხის — 98, გარეუბნის — 82.7, მცხეთის — 51.1, გარდაბნის 68.2, მარნეულის — 90.1, ბოლნისის — 92.1, საგარეჯოს — 51.5, დმანისის — 55.2, ქლუხორის — 31,4, აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში — 89.8, აჭარის ასს რესპუბლიკაში — 15.1, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 27.6 პროცენტით. გურჯაანის, კაჭრეთის, სიღნაღის, წითელწყაროს, ახმეტის რაიონებმა უკვე შეასრულეს კარტოფილის მოსავლის აღების გეგმა.

## აღებულია 2.188 ჰექტარი შაქრის ჭარხალი

ფართოდ გაჩაღდა შაქრის ჭარხლის აღება. 25 ოქტომბრისათვის აღებულია 2.188 ჰექტარი, ანუ გეგმის 43,8 პროცენტი.

ხაშურის რაიონში შაქრის ჭარხლის აღების დავალება შესრულებულია 49.6 პროცენტით, ქარელის — 50.2, გორის — 40,1, კასპის — 33.2, ხოლო სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 43.1 პროცენტით.



**სამგორის სახალხო მშენებლობაზე.** ზემო მაგისტრალური არხის ბოლო თბილისის წყალსაცავთან და წყალსაშვები ობელისკებიანი ნაგებობა. აქედან ავსებს იორის წყალი თბილისის „ზღვას". წინ დგანან ობელისკებიანი წყალსაშვები ნაგებობის პროექტის ავტორი ალექსანდრა ჯიქია და სამგორწყალმშენის მეორე სამშენებლო კანტორის უფროსი ინჟინერი დ. ძლენტი.

ფოტო ე. გინზბურგისა და რ. აკოფოვისა.

## პარტიული ცხოვრება

# აგიტატორის ჩანაწერები

დიდი ხანი არ არის, რაც თბილისის საორთქლმავლო დეპოს კოლექტივი მაგარი საწვავის გამოყენებაზე გადავიდა. ამის გამო ორთქლმავალთა გუნდის კოლექტივს მუშაობა უძნელდებოდა, რადგან დაუფლებული არ იყო ახლებურად მუშაობის წესებს. სხვა მიზეზებს გარდა ესეც იყო ზოგიერთი მემანქანის ჩამორჩენის სერიოზული მიზეზი. საჭირო იყო მუშაობის ახალი წესების შესწავლა. ამისათვის დეპოში მოეწყო სპეციალური ლექციები, შეიქმნა ტექნიკური უშიშროების წესების შემსწავლელი წრეები, ახალი ძალით გაჩაღდა მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. პარტიულმა ორგანიზაციამ ორთქლმავლების გუნდში აგიტატორად გაგზავნა გამოცდილი მემანქანე კომუნისტი ალექსანდრე კიკნაძე.

ამხ. ა. კიკნაძე შესანიშნავად არის დაუფლებული მემანქანის პროფესიას. 45 წელია მემანქანედ მუშაობს და ბევრი მემანქანე გამოზარდა.

აგიტატორმა ა. კიკნაძემ დიდი სიყვარულით მოჰკიდა ხელი დავალების შესრულებას. მის საგიტაციო უბანში 15 მემანქანეა. მიუხედავად იმისა, რომ მუშაობის სპეციფიკის გამო მათი თავმოყრა ძლიერ ძნელია, აგიტატორი მაინც ახერხებს მემანქანეებთან აგიტაციის საინტერესოდ მოწყობას.

ამხ. ა. კიკნაძე აწარმოებს დღიურს.

აი ზოგიერთი დამახასიათებელი ჩანაწერი მისი დღიურიდან.

**20 ივნისი.** ჩვენი მემანქანეები დაინტერესებული არიან კორეის ამბებით. ამიტომ ყოველი საგიტაციო საუბრის შესავალს ვუთმობთ კორეის ამბების გაცნობას. დღესაც დაწვრილებით ველაპარაკე მათ კორეაში წარმოებულ საომარ მოქმედებაზე. ამ საკითხის გაცნობისას ძლიერ დამეხმარა კორეაში საომარი მოქმედების შესახებ გაზეთში დაბეჭდილი მიმოხილვა.

**27 ივნისი.** დეპოს მუშათა მრავალრიცხოვანი კოლექტივი აღსავსეა სიძულვილით ომის გამჩაღებლებისადმი. თვითეული მუშა პროდუქციას ამზადებს მშვიდობის საქმისათვის, ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების უკეთესი მომავლისათვის. დღეს მსმენელებს წავუკითხე გაზეთ „კომუნისტში" დაბეჭდილი სტატია „ომის თავიდან აცილებისა და მშვიდობის შენარჩუნებისათვის". უფროსმა მემანქანეებმა ა. ლომსაძემ, ა. მამაჯანაშვილმა, ვ. ჩომახიძემ პირობა დადეს სტახანოვური შრომით თავიანთი წვლილი შეიტანონ მშვიდობისათვის ბრძოლის კეთილშობილურ საქმეში.

**10 აგვისტო.** ბევრმა ჩვენმა მემანქანემ ჯერ კიდევ ვერ შეისწავლა ვაგონებში მასალების მიწოდების წესები. ამიტომ დღეს კიდევ მქონდა საუბარი აღნიშნულ საკითხზე.

**23 აგვისტო.** გუშინ გაზეთ „კომუნისტში" საინტერესო კონსულტაცია იყო მოთავსებული — „პროდუქციის თვითღირებულება და მისი შემცირების გზები". აღნიშნული სტატიის წაკითხვის შემდეგ ყურადღება გავამახვილე ორთქლმავლების შეკეთების ხარისხზე. ჩვენი მოწინავე მემანქანეები თვითონვე აწარმოებენ ორთქლმავლების მიმდინარე რემონტს, რაც ხარჯებისა და დროის ეკონომიას იძლევა. ვილაპარაკე აგრეთვე სამუშაო გრაფიკის მტკიცედ დაცვის მნიშვნელობაზე.

**25 აგვისტო.** დღევანდელი საუბარი სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების მიმდინარეობას დავუთმე. აღვნიშნე მოწინავე მემანქანეების მ. პაქსაშვილის, ე. ტაბატაძის, შ. კალმახელიძის, თ. მალინსკის კარგი მუშაობა. აღნიშნული ამხანაგები მშვიდობის სტახანოვურ ვახტზე დგანან და უწუნო და უავარიო მუშაობით მაგალითის მიმცემნი არიან მთელი დეპოს კოლექტივისათვის. წუნის გამოშვების ბევრი შემთხვევა აქვს მემანქანე გ. შარიფაშვილს. საჭიროა მასთან სპეციალური მუშაობა.

**28 აგვისტო.** გუშინ მემანქანის თანაშემწემ ორთქლმავალზე მუშაობის დროს ხელები დაიწვა. ჩანს, ყველა ახალგაზრდა მემანქანე კარგად არ არის დაუფლებული ორთქლმავალზე მუშაობის რთულ წესებს. ამიტომ დღეს კვლავ ვისაუბრე ტექნიკური უშიშროების წესებზე. საუბრის დროს მსმენელებმა ბევრი საინტერესო საკითხი დააყენეს.

**18 ოქტომბერი.** ჩვენი კოლექტივი მშვიდობის სტახანოვურ ვახტზე დგას. მემანქანეებს ვესაუბრე წლის უკანასკნელ კვარტალში მუშაობის უკეთ მოწყობის საკითხებზე.

დღიურის მოკლე ჩანაწერები წარმოდგენას გვაძლევს აგიტატორის გეგმისა და ჩატარებული საუბრების შესახებ.

პოლიტიკური აგიტაციის ცხოველმყოფელობა ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ ხელმძღვანელობს პარტიული ორგანიზაცია მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას.

პარტბიურო სისტემატურად ისმენს საამქროთა პარტიული ორგანიზაციების მდივნების მოხსენებებს იმის შესახებ, თუ როგორ არის დაყენებული საამქროში აგიტაცია. მაგალითად, სექტემბერში პარტბიურომ მოისმინა ადმინისტრაციულ-ტექნიკური განყოფილების პარტორგანიზაციის მდივნის ამხ. ლ. კუჩერენკოს მოხსენება. სექტემბერშივე მოეწყო საგარეცხვო საამქროს ოსტატის აგიტატორ შ. ხიზანიშვილის მოხსენება გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით.

აგიტკოლექტივი სისტემატურად, თვეში სამჯერ იწვევს აგიტსემინარებს, სადაც მოხსენებებს აკეთებენ დეპოს უფროსის მოადგილე ა. თევზაძე, პარტბიუროს მდივანი დ. აბუთიძე, მთავარი ინჟინერი მ. კაციტაძე და სხვ.

საორთქლმავლო დეპომ სექტემბერში ტექნიკური სიჩქარის, აგრეთვე აწევითი და საშუალო რემონტისა და გარეცხვითი რემონტის დავალება საგრძნობი გადაჭარბებით შეასრულა. ამ საქმეში მცირედი ღვაწლი როდი მიუძღვით აღნიშნული საწარმოს აგიტატორებს.

დეპოს პარტიული ორგანიზაცია მიღწეულით არ უნდა დაკმაყოფილდეს. მისი ვალია უფრო მაღალ დონეზე მოაწყოს კოლექტივში პოლიტიკური მუშაობა.

**გ. ფარდოსანიძე**

# რაზლივში, ლენინის ქარავთან

**სესტრორეცკი, 24 ოქტომბერი.** (საქდესი). რაზლივის ტბასთან მდებარე მინდორში, იქ, სადაც 1917 წლის ივლის-აგვისტოში კონტრრევოლუციური დროებითი მთავრობისაგან დევნას ემალებოდა და ქარავში ცხოვრობდა მშრომელთა დიდი ბელადი ვ. ი. ლენინი, ახლა დგას გრანიტის მონუმენტი, რომელიც ქარავს გამოსახავს. იქვეა პავილიონი, სადაც გამოფენილია ისტორიული დოკუმენტები და მასალები.

ლენინის ქალაქის მშრომელები სიყვარულით უვლიან ამ სამუდამოდ წმინდა ადგილებს. წელს ზაფხულში აქ წესრიგზე მოიყვანეს პარკი; ძეგლის ახლომახლო ტერიტორია განათებულია ელექტრობით.

წლის დამდეგიდან რაზლივი 110 ათასზე მეტმა კაცმა დაათვალიერა. განსაკუთრებით ბევრი მნახველი მოდის ოქტომბრის დღესასწაულის წინა დღეებში. აქ ხშირად მოდიან ექსკურსიები ჩვენი სამშობლოს შორეული რაიონებიდან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებიდან.

ახლა რაზლივის ჩვეულებრივი მნახველები არიან პარტიული განათლების ქსელის წრეებისა და სკოლების მსმენელები და მარქსისტულ-ლენინური თეორიის დამოუკიდებლად შემსწავლელნი.

# კომუნიზმის დიად მშენებლობებზე

**კუნია-ურგენჩი, 24 ოქტომბერი.** (საქდესი). უზბოის აეროგეოლოგიურმა ექსპედიციამ შეაჯამა წლის დამდეგიდან შესრულებული გეოლოგიური აგეგმვისა და საძიებო სამუშაოთა შედეგები.

აგეგმილია 30 ათასამდე კვადრატული კილომეტრი ტერიტორია. ადგილობრივი საშენი მასალების საბადოების აღმოსაჩენად დიდი მასშტაბის საძიებო სამუშაოები შესრულებულ იქნა გეოლოგიური აგეგმვის გზით. ტახიატაშის მომავალი ჰიდროკვანძისა და სულთან-უიზ-დაღის მთის რაიონებში იპოვნეს მინერალური ნედლეულის ბუდობები.

ტრასის ყველა ძირითადი ვარიანტის მიხედვით პირველი რიგის საძიებო სამუშაოები დაამთავრა თურქმენეთის გეოლოგიური სამმართველოს ექსპედიციამ. ამჟამად რესპუბლიკის გეოლოგები მასალებს ამუშავებენ. პირველი პარტია ამხ. ვორობიოვის ხელმძღვანელობით მომავალი წლის ანგარიშში იკვლევს ტრასს.

• • •

**ზაპოროჟიე, 24 ოქტომბერი.** (საქდესი). სამხრეთ უკრაინისა და ჩრდილოეთ ყირიმის არხების ტრასზე ეწყობა მასობრივ სპეციალობათა კადრების მომზადება წარმოებას მოუწყვეტლივ. ყველა სამშენებლო უბანზე იქმნება სტახანოვური სკოლები.

ვასილიევკის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს ინჟინრები და ტექნიკოსები ცალკეული მუშებისა და ბრიგადების შეფობას კისრულობენ.

# უზრუნველვყოთ მატარებელთა მოძრაობის უსაფრთხოება, დავაჩქაროთ ზამთრისათვის მზადება

(ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების პარტიული აქტივის კრებაზე)

შედგა ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების პარტიული აქტივის კრება, რომელმაც მოისმინა განყოფილების მთავარი ინჟინრის ამხ. ვ. ჯაიანის მოხსენება მატარებელთა მოძრაობის უსაფრთხოების, განყოფილების საწარმოებში შრომის დისციპლინის მდგომარეობისა და ზამთრისათვის მზადების შესახებ.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ნავთლუღის კვანძის პარტიული კომიტეტის მდივანმა შ. დოლიძემ, მეოთხე სამგზავრო-სავაგონო უბნის უფროსმა ა. მორჩაძემ, ხაშურის სალიანდაგო დისტანციის უფროსმა ბ. გოგიჩაიშვილმა, თბილისის საორთქლმავლო დეპოს პარტბიუროს მდივნის მოადგილემ დ. კვარაცხელიამ, გურჯაანის საორთქლმავლო დეპოს უფროსმა ა. ბიძინაშვილმა, ამიერკავკასიის რკინიგზის სალიანდაგო სამსახურის უფროსმა ი. მეგრელიშვილმა, რკინიგზის თბილისის განყოფილების პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილემ ქ. მეფარიშვილმა და სხვ.

როგორც მოხსენებიდან, ისე მოკამათეთა სიტყვებიდან გამოირკვა, რომ უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში რკინიგზის თბილისის განყოფილების საწარმოთა კოლექტივებმა, პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს მატარებელთა მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მუშაობაში მარცხის და წუნის აღმოსაფხვრელად, რკინიგზელთა შორის შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად. განყოფილებაში შემავალ საორთქლმავლო და საელექტრომავლო დეპოებში, სავაგონო უბნებში, სატვირთო და სამგზავრო სადგურებში, სალიანდაგო და კავშირგაბმულობის დისტანციებში მოეწყო პარტიული და საერთო კრებები, რომლებზეც განიხილეს მატარებელთა უსაფრთხო მოძრაობის საკითხი, დასახეს ღონისძიებანი წუნის აღმოსაფხვრელად, ორთქლმავლების, ვაგონების, ლიანდაგის, ისრების, კავშირგაბმულობის საშუალებათა რემონტის ხარისხის გასაუმჯობესებლად და რკინიგზელთა შორის შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად.

პოლიტგანყოფილების მიერ მოწვეულ სპეციალურ თათბირზე აგიტკოლექტივების ხელმძღვანელებს და კედლის გაზეთის რედაქტორებს დავალება მიეცათ იბრძოლონ რკინიგზელთა შორის დისციპლინის განმტკიცებისათვის, ხელი შეუწყონ იმას, რომ მატარებლის მოძრაობასთან დაკავშირებული ყველა რკინიგზელი საფუძვლიანად დაეუფლოს ტექნიკური ექსპლოატაციის წესებს და ზუსტად ახორციელებდეს მათ.

ამ ღონისძიებათა გახორციელების შედეგად ხაშურის კვანძზე წესრიგშია მოყვანილი სალიანდაგო და საისრე მეურნეობა, კავშირგაბმულობის საშუალებანი. ამაღლდა ელექტრომავლების და ორთქლმავლების შეკეთების ხარისხი. რკინიგზელთა შორის გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბრება, რომლის მთავარ პირობად წამოყენებულია ტექნიკური ექსპლოატაციის წესების მტკიცედ დაცვა, უწუნოდ, უავარიოდ მუშაობა და შეკეთების ხარისხის ამაღლება. გაუმჯობესდა საორთქლმავლო და გამცილებელთა ბრიგადების მუშაობისა და დასვენების პირობები. კვანძის ყველა სარკინიგზო საწარმოს შეთანხმებული მუშაობით შემცირდა წუნის შემთხვევები, განმტკიცდა შრომის დისციპლინა.

მნიშვნელოვანი ორგანიზაციულ-ტექნიკური და მასობრივ-პოლიტიკური ხასიათის ღონისძიებანი განახორციელეს განყოფილების სხვა სარკინიგზო საწარმოებმაც, კერძოდ ნავთლუღის კვანძის საწარმოებმა. მიუხედავად გარკვეული მიღწევებისა მატარებელთა მოძრაობის უსაფრთხოებისა და რკინიგზელთა შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცების მხრივ კვლავ არსებობს სერიოზული ნაკლოვანებანი. ხშირია მუშაობაში წუნის დაშვების, ტექნიკური ექსპლოატაციის წესებისა და შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევები.

მატარებელთა მოძრაობის უსაფრთხოებისათვის არადამაკმაყოფილებლად იბრძვიან ბორჯომისა და თბილისის სალიანდაგო დისტანციების კოლექტივები, თბილისისა და გურჯაანის საორთქლმავლო დეპოები. მაგალითად, უხარისხოდ შეკეთებული და ტექნიკურად შეუმოწმებელი ორთქლმავლების ხაზზე გაგზავნის შედეგად თბილისელმა და გურჯაანელმა მეორთქლმავლეებმა დაუშვეს გზაში ორთქლმავლის დაზიანებისა და გადასაბმელის გაწყვეტის შემთხვევები. მევაგონეების მიერ ვაგონების უხარისხოდ შეკეთებამ და გამსინჯველების მიერ სადგურში მატარებლების უპასუხისმგებლოდ გასინჯვამ ღერძკოლოფის გადაწვის, ვაგონის ახსნისა და მატარებლის დიდი ხნით გაჩერების შემთხვევები გამოიწვია.

მეოთხე სავაგონო უბნის, გურჯაანის საორთქლმავლო დეპოს, ხაშურის გამცილებელთა რეზერვის, ფოილოს, სანდარის, მთავარი არხის, კუხეთის სადგურების პარტიულმა ორგანიზაციებმა ვერ მოაწყეს ყოველდღიური საგიტაციო-მასობრივი მუშაობა იმ განსაკუთრებული მნიშვნელობის განმარტებისათვის, რომელიც ენიჭება ტრანსპორტზე შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებას, როგორც მატარებლის მოძრაობის უსაფრთხოების საფუძველს. სადგურ მთავარი არხის მუშაკებმა წელს 14-ჯერ დაარღვიეს შრომის დისციპლინა. ერთ-ერთი დამნაშავე სადგურის მორიგე კაზაროვა გზის უფროსის ბრძანებით გადაყენებულია თანამდებობიდან, ხოლო სადგურის უფროსს, პარტიის წევრ მიქაძეს დაედო ადმინისტრაციული სასჯელი. ეს შემთხვევა სიგნალი უნდა ყოფილიყო სადგურის პარტიული ორგანიზაციისათვის, მაგრამ პარტბიუროს მდივანს ამხ. მონასელიძეს პარტიულ კრებაზე განსახილველად არ დაუსვამს ეს საკითხი და არ მოუხდენია სადგურის კოლექტივის მობილიზაცია დისციპლინის განსამტკიცებლად, მატარებლის მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. უფრო მეტი, თვით მონასელიძემ დაარღვია დისციპლინა, 22 სექტემბერს 39 წუთით შეაფერხა მატარებლის გაგზავნა.

განყოფილების ზოგიერთ საწარმოში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა შრომის სოციალისტური მეთოდების გამოყენებას უწუნოდ, უავარიოდ მუშაობისათვის, ვაგონების, ორთქლმავლების, ლიანდაგის შეკეთების ხარისხის გაუმჯობესებისათვის. მატარებელთა მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის. თბილისის სატვირთო სადგურსა და მეოთხე სავაგონო უბანში ადგილკომის სხდომასა და საერთო კრებაზე ჯერ კიდევ არ განუხილავთ საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის საკითხი.

პარტიული აქტივის კრებაზე აღინიშნა აგრეთვე მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები ზამთრისათვის მზადების საქმეში. თბილისის და გურჯაანის საორთქლმავლო დეპოებში დღემდე არ დაუწყიათ ორთქლმავლების დათბუნება, დამთავრებული არ არის საწარმოო ნაგებობათა, კანალიზაციის, გასასინჯი თხრილების და სხვა მოწყობილობის შეკეთება.

სადგურ მთავარ არხში შეუკეთებელია სადგურის შენობა, საისრე ჯიხურები და მატარებლის გამცილებელთა ბრიგადების საერთო საცხოვრებელი. თბილისის სატვირთო სადგურში, საგარეჯოს, თელავის, წნორის, რუსთავისა და ყარაიის სადგურებში არ დაუმთავრებიათ საწყობებისა და დასატვირთი ბაქნების რემონტი.

არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ზამთრისათვის მოსამზადებლად საჭირო მასალებით საწარმოების მომარაგების მხრივ.

თბილისის სატვირთო სადგურის, მესამე სავაგონო უბნის, გორის და ფოილოს სადგურებისა და სხვა საწარმოების პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ზამთრისათვის მზადების საქმეს.

პარტიული აქტივის კრებამ სათანადო ღონისძიებანი დასახა მატარებელთა მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის, რკინიგზელთა შორის შრომის დისციპლინის განმტკიცების და ზამთრისათვის რკინიგზის საწარმოების მზადების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

აქტივის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სატრანსპორტო განყოფილების გამგემ ამხ. მ. ბალავაძემ, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგემ ამხ. ბ. ლელინშა და ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის მოადგილემ ამხ. ი. ქარუმიძემ.

საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი წრეების პროპაგანდისტთა დასახმარებლად

# როგორ ჩავატაროთ მეცადინეობა თემაზე: „ბრძოლა სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შექმნისათვის რუსეთში" (1883-1901 წლები)

საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი წრის პროპაგანდისტი სასწავლო გეგმის თანახმად მუშაობას იწყებს შესავალი მეცადინეობით თემაზე: „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია—მარქსიზმ-ლენინიზმია მოქმედებაში".

როგორ უნდა გავიგოთ მოცემული თემის ძირითადი მიზანდასახულობა?

უწინარეს ყოვლისა საჭიროა მსმენელებმა თავიდანვე ნათელი წარმოდგენა შეიმუშაონ მარქსისტულ-ლენინური თეორიის მნიშვნელობის შესახებ. თავის გენიალურ ნაშრომში „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები" ი. ბ. სტალინმა უაღრესი სიზუსტით განსაზღვრა მარქსიზმის რაობა: „მარქსიზმი,— ვასწავლის ამხანაგი სტალინი,—არის მეცნიერება ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონთა შესახებ, მეცნიერება ჩაგრული და ექსპლოატირებული მასების რევოლუციის შესახებ, მეცნიერება ყველა ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ, მეცნიერება კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის შესახებ". პროპაგანდისტის მოვალეობას შეადგენს უბრალოდ კი არ გაიმეოროს მარქსიზმის ეს გენიალური და ლაკონური განსაზღვრა, არამედ სათანადოდ გაშალოს და განმარტოს იგი; რევოლუციური თეორიის საერთო დახასიათებასთან ერთად პროპაგანდისტმა უნდა ნათელყოს ბოლშევიკური პარტიისა და მისი დიდი ბელადების — ლენინისა და სტალინის მსოფლიო-ისტორიული როლი მარქსისტული თეორიის შემოქმედებითი განვითარების საქმეში, რევოლუციური ბრძოლისა და სოციალისტური საზოგადოების აშენების უაღრესად რთული პრობლემის გადაჭრის საქმეში.

პროპაგანდისტმა უნდა გააშუქოს რევოლუციური დიალექტიკის შეუდარებელი ოსტატის ამხანაგ სტალინის უდიდესი როლი მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემოქმედებით განვითარებაში, ცხადი გახადოს მსმენელებისათვის, რომ კომუნიზმის დიდმა ხუროთმოძღვარმა მეცნიერებისა და რევოლუციური პრაქტიკის უახლესი მონაცემების საფუძველზე დაგვანახვა ის შინაგანი კავშირი, რომელიც არსებობს მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებასა და ჩვენი პარტიის პრაქტიკულ მოღვაწეობას, მის პოლიტიკას შორის.

შესავალ საუბარში ცენტრალური ადგილი, რასაკვირველია, ი. ბ. სტალინის კლასიკური ნაშრომის — „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გაშლილ დახასიათებას უნდა დაეთმოს. ამისათვის ძირითად ორიენტირად და პირველ წყაროდ უნდა გამოვიყენოთ „მოკლე კურსის" „შესავალი" (გვ. 3-4) და მისივე „დასკვნა" (გვ. 459-479). საჭიროა გვახსოვდეს, რომ სტალინური სახელმძღვანელოს შესავალში სიზუსტით და სრულყოფილად არის გაშუქებული ბოლშევიკური პარტიის ისტორიის ძირითადი ეტაპები, აღნუსხულია ლენინურ-სტალინური პარტიის ბრძოლებისა და გამარჯვებათა დიადი, სახელოვანი გზა. „მოკლე კურსის" „დასკვნა" გვაძლევს ჩვენი პარტიის მიერ განვლილი ისტორიული გზის შედეგთა მეცნიერულ, თეორიულ განზოგადებას; მასში სტალინური სიცხადით არის წარმოდგენილი მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითი ბუნება, რევოლუციური თეორიის უწყვეტი განვითარება მეცნიერებისა და რევოლუციური პრაქტიკის უახლოესი მიღწევების განზოგადების საფუძველზე.

თვითეულმა პროპაგანდისტმა მუშაობის სწორად წარმართვისათვის თავის განუყრელ სახელმძღვანელოდ უნდა გაიხადოს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1938 წლის 14 ნოემბრის დადგენილება „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ.

წრის ხელმძღვანელმა უნდა შეძლოს მიიტანოს მსმენელამდე აღნიშნულ დადგენილებაში ჩამოყალიბებული სტალინური სახელმძღვანელოს შეფასება, როგორც ბოლშევიზმის მეცნიერული ისტორიის, მარქსიზმ-ლენინიზმის დარგში ძირითად ცოდნათა ენციკლოპედიისა, რომელიც წარმოადგენს „უმნიშვნელოვანეს საშუალებას ბოლშევიზმის დაუფლების ამოცანის გადაჭრის, მარქსისტულ-ლენინური თეორიით, ე. ი. საზოგადოებრივი განვითარების და პოლიტიკური ბრძოლისა და კანონების ცოდნით პარტიის წევრთა შეიარაღების საქმეში, პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკების პოლიტიკური სიფხიზლის ამაღლების საშუალებას, მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდის ჯეროვან თეორიულ სიმაღლეზე აყვანის საშუალებას". (იხ. ცალკე გამოცემა, სახელგამი, 1938. გვ. 3).

საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის სტალინურ სახელმძღვანელოს უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. ეს ჭეშმარიტება ცხადი უნდა გახდეს თვითეული მსმენელისათვის. მთელი პროგრესული კაცობრიობა გულმოდგინედ სწავლობს ი. ბ. სტალინის ამ ნაშრომს. კომუნიზმის გენიალური ხუროთმოძღვრის მიერ მეცნიერულად განზოგადებულ ბოლშევიზმის გიგანტურ ისტორიულ გამოცდილებაზე იზრდებიან და იწრთობიან არა მარტო მილიონობით საბჭოთა ადამიანები, მას ბეჯითად ეუფლებიან კომუნისტური და მუშათა პარტიების მრავალმილიონიანი რაზმები სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის აქტიური მებრძოლი ყველა ქვეყანაში.

• • •

საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის პირველი თემის შესწავლას წრის სასწავლო გეგმის შესაბამისად სამი მეცადინეობა ეთმობა. მთელი თემის ქვეთემებად დაყოფასა და ცალკეული მეცადინეობის მასალის გეგმაზომიერ განაწილებაში პროპაგანდისტისათვის შეუცვლელ სახელმძღვანელოს, ცხადია, „მოკლე კურსი" წარმოადგენს. პროპაგანდისტის საუბრის გეგმა უწინარეს ყოვლისა სტალინური სახელმძღვანელოს ისტორიულ-ფაქტობრივი შინაარსისა და მისი თეორიულ-ლოგიკური აზრის წყობას უნდა შეესაბამებოდეს. შესასწავლი თემის — „ბრძოლა სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შექმნისათვის რუსეთში" ქვეთემებად (ცალკეული მეცადინეობისათვის) განაწილების სქემა შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ: **პირველი მეცადინეობა** — (პირველი ქვეთემა) I თავის პირველი და მეორე ქვედანაყოფი, **მეორე მეცადინეობა** — (მეორე ქვეთემა) I თავის მესამე და მეოთხე ქვედანაყოფი; **მესამე მეცადინეობა** — (მესამე ქვეთემა) I თავის მეხუთე ქვედანაყოფი და თემის შემაჯამებელი მოკლე დასკვნები.

„მოკლე კურსში" ცხადად და მკაფიოდ ჩამოყალიბებული თემის საკვანძო საკითხები პროპაგანდისტს ფართო შესაძლებლობას აძლევს შეადგინოს მთელი თემისა და თვითეული მეცადინეობისათვის კონკრეტული სამუშაო გეგმა-პროგრამა, რომლითაც იგი იხელმძღვანელებს როგორც საუბრების ჩატარების, ისე გასაუბრების მოწყობის დროს. საილუსტრაციოდ შეიძლება აქვე წარმოგვედგინა პროპაგანდისტის სამუშაო პროგრამა I თემის პირველი მეცადინეობისათვის (პირველი თემის პირველი ქვეთემა), თუმცა საჭიროა აქვე დავძინოთ, რომ სამუშაო გეგმების საერთო უნივერსალური ფორმები არ შეიძლება არსებობდეს.

**1. ბატონყმობის გაუქმება და სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში. თანამედროვე სამრეწველო პროლეტარიატის გაჩენა. მუშათა მოძრაობის პირველი ნაბიჯები.**

მეფის რუსეთი კაპიტალიზმის განვითარების გზაზე. ბატონყმობის გაუქმება. 1861 წ. რეფორმის ლენინურ-სტალინური შეფასება. ბატონყმობის ნაშთები და მათი გავლენა ქვეყნის ეკონომიურ განვითარებაზე. მეფის თვითმპყრობელობა, როგორც მებატონე-მემამულეთა დიქტატურა.

სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში და თანამედროვე სამრეწველო პროლეტარიატის ზრდა. რუსეთის მუშათა კლასის მებრძოლი რევოლუციური სულისკვეთება. მეფის რუსეთის ეკონომიური ჩამორჩენილობა. გლეხობის ფენებად დაყოფა. მუშათა კლასის ეკონომიური მდგომარეობა რუსეთში XIX ს. 70-80 წლებში. მუშათა მოძრაობის პირველი ნაბიჯები. მუშათა პირველი ორგანიზაციები: „სამხრეთ რუსეთის მუშათა კავშირი" და „რუს მუშათა ჩრდილოეთის კავშირი", საგაფიცვო მოძრაობის ზრდა 80-იან წლებში. მოროზოვის ფაბრიკის მუშათა გაფიცვა ორეხოვო-ზუევოში.

**2. ნაროდნიკობა და მარქსიზმი რუსეთში. პლეხანოვი და მისი „შრომის განთავისუფლების" ჯგუფი. პლეხანოვის ბრძოლა ნაროდნიკობასთან. მარქსიზმის გავრცელება რუსეთში.**

მარქსისა და ენგელსის მოძღვრება—პროლეტარიატის მსოფლმხედველობაა. პლეხანოვის „შრომის განთავისუფლების" ჯგუფი და მისი ბრძოლა ნაროდნიკობის წინააღმდეგ. ნაროდნიკობა, როგორც მთავარი იდეური დაბრკოლება მარქსიზმისა და სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის გავრცელების გზაზე რუსეთში. ნაროდნიკობის კრიტიკა პლეხანოვის მიერ. პლეხანოვის „შრომის განთავისუფლების" ჯგუფის სერიოზული შეცდომები, როგორც მომავალი მენშევიკურ შეხედულებათა ჩანასახი. ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი „შრომის განთავისუფლების" ჯგუფის მნიშვნელობის შესახებ.

ჩვენი აზრით, სწორად იქცევიან ის პროპაგანდისტები, რომლებიც მეცადინეობის დაწყების წინ მსმენელებს აცნობენ (ზოგიერთები აწერინებენ კიდეც) სამუშაო გეგმის საერთო მონახაზს. მეტიც. შესასწავლი თემის საერთო ხასიათისა და მიზანდასახულობის გასათვალისწინებლად მიზანშეწონილია, თუ საუბრის შესავალ ნაწილში პროპაგანდისტი მოკლედ მოხაზავს მთელი თემის საკვანძო საკითხებს. ასეთ შემთხვევაში პროპაგანდისტს სწორ მიმართულებას მისცემს სახელმძღვანელოს სათანადო თავის „მოკლე დასკვნები".

შესავალი მიმოხილვითი საუბრის შედეგად მსმენელებს უნდა მიეცეს ნათელი წარმოდგენა იმის შესახებ, რომ მარქსისტული სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია რუსეთში იქმნებოდა უსასტიკეს ბრძოლებში, უწინარეს ყოვლისა, ნაროდნიკებთან — მარქსიზმის ამ უბოროტეს მტრებთან, აგრეთვე „ლეგალურ მარქსიზმთან" და „ეკონომიზმთან" ბრძოლებში. უნდა გაირკვეს პლეხანოვისა და ისიც „შრომის განთავისუფლების" ჯგუფის ისტორიული ადგილი და როლი, ხაზგასმით აღინიშნოს ვ. ი. ლენინის უდიდესი ისტორიული დამსახურება ნაროდნიკობის საბოლოო იდეური განადგურების საქმეში. პროპაგანდისტმა უნდა გაამახვილოს ყურადღება ლენინის მიერ შექმნილ „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის" მოღვაწეობაზე, ნათელყოს მისი მნიშვნელობა, როგორც ახალი ტიპის პროლეტარული პარტიის პირველი ჩანასახისა. პროპაგანდისტი გააშუქებს ვ. ი. ლენინის დიდი თანამებრძოლის ი. ბ. სტალინის რევოლუციური მოღვაწეობის დასაწყისს, მის მიერ შექმნილ ლენინურ-ისკრული ორგანიზაციების მოქმედებას ამიერკავკასიაში. მიმოხილვითი საუბრის დროს პროპაგანდისტმა, რასაკვირველია, არ უნდა დაკარგოს „ზომიერების გრძნობა", მას უნდა ახსოვდეს, რომ მთლიანი თემის ღრმად შესასწავლად სამი მეცადინეობა არის განკუთვნილი, და მთელი რიგი პირველხარისხოვანი საკითხები მორიგ მეცადინეობებში უნდა გაშუქდეს.

**პირველი თემის პირველი მეცადინეობის შესახებ.**

ზოგადი მიმოხილვითი ხასიათის საუბარში პროპაგანდისტს თავისი საუბრის სიმძიმის ცენტრი უშუალოდ პირველი მეცადინეობის შინაარსის გაშუქებაზე გადააქვს. უპირველეს ყოვლისა საჭიროა დახასიათებულ იქნას რუსეთის საზოგადოებრივ-ეკონომიური და პოლიტიკური ვითარება XIX ს. 50-იან წლებში და ის მიზეზები, რომლებმაც აიძულეს მეფის მთავრობა გაეტარებინა რეფორმა 1861 წელს. პროპაგანდისტი მოვალეა ღრმად გაეცნოს ლენინისა და სტალინის შეხედულებებს ამ საკითხში (ლენინის სტატია: „ბატონყმობის დაცემის ორმოცდაათი წლისთავი" და სხვ., თხზ. ტ. 17) და თავისი საუბარი განუხრელად დაამყაროს ლენინურ-სტალინურ შეფასებაზე. ხაზი უნდა გაესვას იმ ჭეშმარიტებას, რომ 1861 წლის რეფორმა, რომელიც გატარებულ იქნა ზევიდან, მემამულეებისა და თავადაზნაურების სასარგებლოდ, იყო გლეხთა მასების ნამდვილი გაძარცვა.

მიუხედავად ბატონყმობის დიდძალი ნაშთების არსებობისა, რეფორმამ, როგორც ეს „მოკლე კურსშია" აღნიშნული, მაინც დიდად შეუწყო ხელი რუ-

# ქართული რეალისტური მხატვრობის ფუძემდებელი

(გ. გაბაშვილის გარდაცვალების 15 წლისთავის გამო).

გ. გაბაშვილის „ალავერდობაში" (1884 წ.) გამოხატულია წითელი ხელსახოცით თავწაკრული გლეხი, განაპირებით რომ ზის ბორცვზე. ის ჩიბუხს ეწევა და მწარე ფიქრებს მისცემია. ამ სახის შექმნით მხატვარმა ორმაგი ჩაგვრით შევიწროებული მშრომელი გლეხკაცობის სულისკვეთება გამოხატა.

ზოგჯერ გ. გაბაშვილი მშრომელ ადამიანს მთვლემარედ წარმოსახავდა (მთვლემარე მოხუცი გლეხი სურათში „ბოსტანი", „მთვლემარე ხევსური" და სხვ.), ზოგჯერ შრომაში უჩვენებდა მას („ტივებზე" და სხვ.), მაგრამ ყველაზე მეტად მხატვარს უყვარდა მებრძოლი ხალხის გამოხატვა მის ჭირსა და ლხინში. მისი სურათები თითქოს გამათავისუფლებელ მოძრაობას ასურათებენ. ხალხი ჯერ თვლემდა, ვერ გამოფხიზლებულიყო. აი გამოერკვა და, მწარე ფიქრებს მიცემული, თავის ბედშობას უფიქრდება. გლეხობა ურთიერთს უზიარებს თავის გულისნადებს, სოფლელი და ქალაქელი ღარიბები მოქმედ ხალხად იქცევა.

სამშობლოსათვის თავდადებული ბრძოლის რომანტიული წარმოსახვით მხატვარი ცდილობს ხალხში ერთობლივი ბრძოლის რწმენა შექმნას, გმირობა და თავდადება, ვაჟკაცობა და სიმამაცე შთააგონოს თავისუფლებისათვის ამდგარ ხალხს.

გ. გაბაშვილი, როგორც ცხოვრების სიმართლით ამსახველი მხატვარი, კარგად ერკვეოდა საზოგადოებრივ ურთიერთობაში და თავისი შემოქმედებით მშრომელი ხალხის მხარეზე იდგა, ეხმარებოდა მას გაერჩია მტერი და მოყვარე, მტერს მტრულად შეხვედროდა, მოყვარეს—მოყვრულად. საკმარისია თვალი გადაავლოთ გ. გაბაშვილის ღრმა განცდით დაწერილ პორტრეტებს (ქართველი თავადი, მემამულე გენერლები და სხვ.), რომ წარმოიდგინოთ, თუ რა დიდი შემოქმედებითი ძალით ამხილებდა გ. გაბაშვილი მემამულე თავადაზნაურობას, თუ როგორ ეხმარებოდა დიდი ქართველი ოსტატის მხატვრობა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას კიდევ ერთი ლახვარი ჩაეცა ბატონყმური წყობილების ნაშთებისათვის.

გ. გაბაშვილს მხედველობიდან არ გამორჩენია XIX საუკუნის მეორე ნახევრის უდიდესი საზოგადოებრივი მნიშვნელობის მოვლენა—სავაჭრო და სამრეწველო კაპიტალის სწრაფი განვითარება. ეს მოვლენა, ისევე როგორც გ. ერისთავმა, ა. ცაგარელმა და გ. წერეთელმა, მხატვარმა თავისი დიდბუნებოვანი ნიჭით ასახა და შექმნა თბილისელ მოქალაქეთა მთელი გალერია. მის ნაწარმოებთა ამ წყებაში სრულყოფილი ოსტატობით გამოირჩევა „სამი მოქალაქე". ამ სურათში მამხილებელი ძალით არის გამომჟღავნებული მდიდარ მოქალაქეთა ქედმაღლური მტაცებლური ბუნება, „ოქროს ლითონით გახეხილ და გავერაგებულთა" გულისცემა.

მთელი რიგი თავისი საუკეთესო ქმნილებებით გიგო გაბაშვილი პოეტური გზნებით უმღერდა სამშობლო ქვეყნის ბუნებას. ეს დიდი ოსტატი არაფერს არ ალამაზებდა, ის თავს დასტრიალებდა გლეხკაცობის კარმიდამოს და თავისე-



ბურად გამოთქვამდა მოწინავე თაობის გულისტკივილს მისი სიღარიბისა და გაჭირვების გამო. მხატვრის გულისტკივილი მის სურათებში სასოწარკვეთილებით, უიმედობით როდი მეტყველებდა. მისი სურათების ფერადოვნება სიცოცხლითა და სიხარულით, მზიური ფერების სიუხვით ჟღერდა და ხალხს იმედსა და მომავლისადმი რწმენას უნერგავდა.

გ. გაბაშვილის შემოქმედების ოპტიმიზმი მეტად ღრმა და გულით განცდილი სიხალისეა; უფრო მეტიც, — მისი ოპტიმიზმი ეს თვით ბუნებაა მხატვრისა. რა სიუჟეტსაც უნდა გამოხატავდეს, რასაც უნდა ასახავდეს ოსტატი, მისი პალიტრა ენერგიულად, დიდბუნებოვნად, ხმების მთელი სიძლიერით და სიხალისით ჟღერს.

გიგო გაბაშვილი საუკეთესო გამომხატველი იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოწინავე იდეებისა ქართულ მხატვრობაში და შემთხვევით არ არის, რომ ამ მოძრაობის სულისჩამდგმელთა — ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის საუკეთესო პორტრეტები შექმნილია გიგო გაბაშვილის მიერ (ილია ჭავჭავაძის ეს პორტრეტი ხომ ათეული წლების მანძილზე ამშვენებს მწერალთა სასახლის სხდომების დარბაზს).

დიდი სტალინის ხელმძღვანელობით გაშლილმა მუშათა რევოლუციურმა ბრძოლამ გამოიწვია ქართული მწერლობისა და ხელოვნების აღმავლობა, შემოქმედებითი ძალების უჩვეულო ზრდა. სწორედ ამ დროს გამოდიან შემოქმედებით სარბიელზე დავით კლდიაშვილი და შიო არაგვისპირელი, სწორედ ამ დროს აღწევს განვითარების უმაღლეს წერტილს ლადო მესხიშვილის შემოქმედება, იზრდებიან მუშათა თეატრები. ამ დროს გამოჩნდა ზაქარია ფალიაშვილის დიადი ნიჭი, საფუძველი ეყრება ქართულ ოპერას მელიტონ ბალანჩივაძის მუშაობით „დარეჯან ცბიერზე". ამ დროს გაისმის ვანო სარაჯიშვილის მომხიბვლელი ხმა და შემოქმედებას იწყებს კოტე მარჯანიშვილი. სწორედ ამ ეტაპზე მშრომელი ხალხის საუკეთესო მისწრაფებათა გამომხატველი ხდება მხატვარი ალექსანდრე მრევლიშვილი და ქართული ქანდაკების ჩაწყვეტილი ძირების განახლებას იწყებს დიდი ოსტატი იაკობ ნიკოლაძე. ამავე პერიოდში აღწევს თავისი შემოქმედების მწვერვალს გიგო გაბაშვილი. დიდი სტალინის ხელმძღვანელობით მუშათა რევოლუციური მოძრაობის განვითარებამ ფართო გასაქანი და სარბიელი მოუპოვა ქართველი ხალხის შემოქმედებით ძალებს, გამოიწვია ქართული მწერლობის და ხელოვნების აღმავლობა და ამის ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელია გიგო გაბაშვილის ამ პერიოდის მხატვრობა (გავიხსენოთ სურათები „სადარაჯოზე", „მედროში", „ალავერდობა", „ქართველი თავადის პორტრეტი", „ტივებზე", „მუშა" და სხვ.).

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისას გ. გაბაშვილი უკვე ხანდაზმული შემოქმედი იყო. ის ერთი პირველთაგანი იყო, რომელიც სათავეში ჩაუდგა ჩვენი ახალგაზრდობის უმაღლესი მხატვრული განათლების საქმეს. საბჭოთა მთავრობის მიერ შექმნილ თბილისის სამხატვრო აკადემიაში გიგო გაბაშვილმა აღზარდა მთელი თაობა ნიჭიერი ქართველი საბჭოთა ფერმწერლებისა. ხალხმა დიდად დაუფასა მხატვარს მისი ღვაწლი და ამაგი. საბჭოთა მთავრობამ მას მიანიჭა სახალხო მხატვრის საპატიო წოდება.

გიგო გაბაშვილი დიდი მხატვარი იყო. მისი შემოქმედება შეადგენს იმ წვლილის ძვირფას ნაწილს, რაც ქართველ ხალხს შეაქვს მსოფლიო კულტურის საგანძურში.

გიგო გაბაშვილის მხატვრობა შესანიშნავი გამოხატულებაა რუსი და ქართველი ხალხების საუკეთესო ოსტატთა ურთიერთკავშირის კეთილნაყოფიერებისა.

ქართველი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს გამოჩენილ ქართველ ოსტატს, რომელმაც შეძლო გამოეხატა ხალხის საუკეთესო მისწრაფებანი, თავისი დროის მოწინავე იდეები და შორს გაუთქვა სახელი ქართველი მხატვრების ფუნჯის მეტყველ ძალას და მათი პალიტრის რეალისტურ ცხოველმყოფელობას.

**დ. ჯანელიძე**

## შაქრის ჭარხლის უხვი მოსავალი

**სტალინირი.** (საკ. კორ.). შაქრის ჭარხლის უხვი მოსავლის მიღებით სახელი გაითქვეს სოფელ ხეთაგუროვის კოსტა ხეთაგუროვის სახელობის კოლმეურნეობის მეჭარხლეებმა. აქ 41 ჰექტარი შაქრის ჭარხალი უთესიათ. გაჩაღდა მოსავლის აღება. კოლმეურნეობის მოფურეებმა ილია მამიევმა და ივანე ჩიკორენკომ მიმღებ პუნქტში მიიტანეს შაქრის ჭარხლის ახალი მოსავლის პირველი ასეული ტონები.

ნაკისრი ვალდებულება პირნათლად შეასრულეს კოლმეურნეობის იმ საწარმოო ბრიგადებმა, რომლებსაც გერმან და აბგარ ჯიოევები ხელმძღვანელობენ. ამ ბრიგადების მეჭარხლეები საშუალოდ თვითეულ ჰექტარზე 300-400 ცენტნერ შაქრის ჭარხალს იღებენ.

ჭარხლის მოსავლის აღება დაიწყო სოფელ ერედვის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამაც. ერედველმა კოლმეურნეებმა უზრუნველყვეს შაქრის ჭარხლის უხვი მოსავლის მიღება. ამ მხრივ განსაკუთრებით კარგად იმუშავეს ვანო ქუქნიაშვილის, ლადო ბორცვაძის, ნიკოლოზ ბერუაშვილის ბრიგადებმა. ისინი თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 300 ცენტნერამდე მოსავალს იღებენ.

გამოცდილმა მეჭარხლეებმა რუბენ ცოტნიაშვილმა, ილია ქუქნიაშვილმა, თამარ ცოტნიაშვილმა ჰექტარზე 350-400 ცენტნერი შაქრის ჭარხალი მიიღეს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 34-ე წლისთავის დღესასწაულის წინა დღეებში სტალინირის რაიონის მოწინავე კოლმეურნეობები აძლიერებენ სახელმწიფოსათვის შაქრის ჭარხლის ჩაბარების ტემპს.

## პირუტყვის სანიმუშოდ გამოზამთრებისათვის

**ოჩამჩირე.** („კომუნისტის" კორ.). კოლმეურნეობებში გაეცნენ სომხეთის სსრ მეცხოველეთა მიმართვას და სოციალისტური შეჯიბრების ვალდებულების ერთ-ერთ მუხლად დაისახეს საკოლმეურნეო პირუტყვის სანიმუშოდ გამოზამთრება. კოლმეურნეობების საქონლის ფერმებში დროულად გაიშალა ზამთრისათვის მზადება. პირუტყვის სანიმუშოდ გამოზამთრების მიზნით სოფელ კოჩარის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ ქლუხორის საზამთრო საძოვრებზე პირუტყვისათვის ააგო 120 სულის ტევადობის სტანდარტული ტიპის საზამთრო ბინა. ამავე საძოვარზე 100 სულისათვის ბინა ააგო სოფელ ათარის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ.

წელს რაიონის კოლმეურნეობებში დასილოსებულია 1.300 ტონა საკვები, თივა აღებულია 1.100 ჰექტარზე. გასულ წლებთან განსხვავებით საკვების დასილოსების სამუშაოები მექანიზებულ იქნა, რაც დიდად იმოქმედებს წვნიანი საკვების ხარისხზე.

სოფელ ახალდაბის ლესელიძის სახელობის კოლმეურნეობაში (ფერმის გამგე ზოოტექნიკოსი ი. მიქაია) საქონლის ბინები დროულად მოამზადეს ზამთრის პირობებში მუშაობისათვის, დაათბუნეს და დეზინფექცია გაუკეთეს. თივა პირუტყვის ბინებამდეა მიზიდული, აქვთ წვნიანი საკვები.

## პარლამენტის არჩევნები ინგლისში

ლეიბორისტების დამარცხება

26 ოქტომბერს საღამოს გამოირკვა ინგლისის პარლამენტის არჩევნების შედეგები. თემთა პალატაში ადგილების უმრავლესობა მიიღეს კონსერვატიული პარტიის კანდიდატებმა—318 ადგილი; ლეიბორისტებმა მიიღეს 293 ადგილი, ლიბერალებმა—5 ადგილი და სხვა პარტიებმა—3 ადგილი.

6 საარჩევნო ოლქში ხმების დათვლა არ დამთავრებულა.

ამრიგად, ლეიბორისტული პარტია დამარცხდა.

ლეიბორისტული მთავრობა ეტლის მეთაურობით გადადგა. ახალი მთავრობის შედგენა მიენდო კონსერვატიული პარტიის ლიდერს უ. ჩერჩილს.

ლეიბორისტული პარტიის დამარცხება ჩვენთვის მოულოდნელი არ ყოფილა. იგი იმის შედეგია, რომ ლეიბორისტულმა პარტიამ ამომრჩეველთა ერთ ნაწილში დაკარგა გავლენა არასწორი პოლიტიკის გამო, დაიბნა როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო საქმეებში. ლეიბორისტებს არ შეუსრულებიათ ამომრჩევლებისათვის მიცემული დაპირება. ისინი ამომრჩევლებს შეჰპირდნენ, რომ განახორციელებდნენ მშვიდობისა და სხვა ქვეყნებთან მეგობრული ურთიერთობის პოლიტიკას, ნამდვილად კი ეწეოდნენ მშვიდობის საწინააღმდეგო პოლიტიკას, უსიტყვოდ უჭერდნენ მხარს ამერიკელი მონოპოლისტების აგრესიულ გეგმებს, სულ უფრო უკარგავდნენ ინგლისს თავისთავადობასა და დამოუკიდებლობას.

ახალი ომის გაჩაღებისა და გამალებული შეიარაღების ასეთი საგარეო პოლიტიკის შედეგი ის იყო, რომ ლეიბორისტულმა პარტიამ არ შეასრულა თავისი დაპირება, რომ გააუმჯობესებდა ინგლისის ეკონომიურ მდგომარეობას, აამაღლებდა მოსახლეობის ცხოვრების დონეს.

ამიტომ მოსახლეობამ ზურგი აქცია ლეიბორისტულ პარტიას.

კონსერვატორებს ხმას რომ აძლევენ, ამომრჩევლებს, როგორც ჩანს, რაღაც იმედი აქვთ, რომ შეიცვლება ინგლისის პოლიტიკა. მაგრამ ხელისუფლების სათავეში კონსერვატორების ჩადგომას საეჭვოა ახალი რამ მოჰყვეს, რადგან ლეიბორისტული მთავრობა ფაქტიურად კონსერვატორების პოლიტიკას ანხორციელებდა. (საკდესი).

## მოლდაველი მევენახეები საქართველოში

ამას წინათ საქართველოს ეწვია მოლდავეთის სსრ სოფლის მეურნეობის მუშაკთა დელეგაცია. დელეგაციის ხელმძღვანელია ამხ. ი. მედვედევი. სტუმრები გაეცნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის თელავის მევენახეობა-მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტისა და საქარის საცდელი სადგურის მუშაობას.

ინსტიტუტისა და საცდელი სადგურის მეცნიერმა მუშაკებმა მათ გააცნეს თავიანთი მიღწევები მევენახეობისა და მეღვინეობის დარგში, კერძოდ ვენახის გახშირებული დარგვის, ლერწის დატვირთვის და სხვათა შესახებ.

დელეგაციის წევრთა შორის დიდი ინტერესი გამოიწვია საქარის ღვინის სარდაფის დათვალიერებამ, სადაც ფერის, გემოს და არომატის შეუცვლელად 50 წლის განმავლობაში შენახულია ციცქის, კრახუნისა და სხვა ასორტიმენტის ღვინოები.

სტუმრებმა დაათვალიერეს წინანდლის საბჭოთა მეურნეობა და გაეცნენ მეურნეობის მიღწევებს. ყურძნის უხვი მოსავლის მიღებისათვის ახალი მეთოდებისა და ხერხების შესახებ მათ ესაუბრა და გამოცდილება გაუზიარა მეურნეობის უფროსმა აგრონომმა სოციალისტური შრომის გმირმა ა. ბოლქვაძემ.

მოლდაველი მევენახეები გაეცნენ მევენახეობის ბრიგადებში შრომის ანაზღაურების ორგანიზაციას, ზესტაფონის რაიონის სოფელ მეორე სვირის ლენინის სახელობის და გურჯაანის რაიონის სოფელ ვეჯინის სტალინის სახელობის კოლმეურნეობათა მუშაობას. მათ აგრეთვე დაათვალიერეს არგვეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა და ბაკურციხის მევენახეობის ტექნიკუმი.

მევენახეობის რაიონების დათვალიერების შემდეგ მოლდაველ მევენახეთა დელეგაცია მიიღო საქართველოს სსრ ტექნიკური კულტურების მინისტრმა ამხ გ. ალავიძემ. საუბარში სტუმრებმა ილაპარაკეს იმ შთაბეჭდილებაზე, რაც მათზე მოახდინა მევენახეობის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამეცნიერო დაწესებულებების დათვალიერებამ.

მათ წამოაყენეს ბევრი სასარგებლო წინადადებანი საკუთარი გამოცდილებიდან, რომლის განხორციელება ხელს შეუწყობს ჩვენში მევენახეობის შემდგომ აღმავლობას, ნარგავთა გაუმჯობესებას, ყურძნის მოსავლის ზრდას. დელეგაციის წევრებმა რწმენა გამოთქვეს, რომ ქართველ და მოლდაველ მევენახეთა მეგობრობის გაგრძელება, გამოცდილების ურთიერთგაზიარება ხელს შეუწყობს ორივე მოძმე რესპუბლიკის მევენახეობის განვითარებას.

გუშინ მოლდაველი მევენახეები გაემგზავრნენ აზერბაიჯანში.

---

სეთში სამრეწველო კაპიტალიზმის სწრაფ განვითარებას. ქალაქთან ერთად კაპიტალისტური ურთიერთობა ღრმად იჭრება სოფლად, რაც აჩქარებს გლეხობის დიფერენციაციას. გაძვალტყავებულ ღარიბ-ღატაკ გლეხობას უპირისპირდება კულაკური ზედაფენა, ხოლო საშუალო გლეხობის ხვედრითი წონა წლითიწლობით კლებულობს. პროპაგანდისტი, რა თქმა უნდა, არ დაკმაყოფილდება აღნიშნული პროცესების მშრალი და განყენებული აღნიშვნით, ლენინისა და სტალინის ძირითადი დებულებანი დიდძალ კონკრეტულ, საილუსტრაციო მასალას მისცემს პროპაგანდისტსა და მსმენელებს. ძვირფასი საილუსტრაციო მასალის ამოკრეფა შეიძლება აგრეთვე „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის თვალსაჩინო მასალის ალბომიდან", რომელიც ახლახან (1951 წ.) გამოუშვა სახელმწიფო გამომცემლობამ.

პროპაგანდისტი უამბობს მსმენელებს იმის შესახებ, რომ კაპიტალიზმის განვითარებას რუსეთში თან ახლდა მუშების რიცხობრივი ზრდა. მაგრამ ამასთან ერთად საჭიროა ცხადვყოთ თანამედროვე სამრეწველო პროლეტარიატის ძირეული განსხვავება ბატონყმობის ხანის ფაბრიკა-ქარხნებისა და კუსტარული, წვრილი წარმოების მუშებისაგან. მიუხედავად ამისა, მუშათა მოძრაობა და 70-80-იანი წლების საკმაოდ მასობრივი გაფიცვები პროლეტარიატის დაქსაქსულობისა და გათიშულობის პირობებში ვერ აღწევდა სათანადო შედეგს. პროპაგანდისტმა საჭიროა ხაზგასმით აღნიშნოს, რომ მუშათა კლასი მხოლოდ გაერთიანებისა და ორგანიზებული მოქმედების გზით შეძლებდა წარმატების მოპოვებას. ამისათვის კი აუცილებელი იყო მარქსისტული რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული პარტიის შექმნა.

მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლების — მარქსისა და ენგელსის დიადი მოძღვრების ძირითადი პრინციპების სხარტად და მკაფიოდ, ღრმად და მსმენელებისათვის გასაგებად გადაცემა პროპაგანდისტისაგან მაღალ მეთოდურ-პედაგოგიურ დახელოვნებას მოითხოვს.

მსმენელებმა ნათლად უნდა შეიგნონ, რომ მარქსიზმის, სოციალ-დემოკრატიული მუშათა მოძრაობის მთავარ მოწინააღმდეგედ რუსეთში ნაროდნიკობა გამოდიოდა. მხილებულ უნდა იქნას ნაროდნიკების შეხედულებათა მცდარობა და მავნეობა რევოლუციის საქმისათვის. აქ საჭიროა მხოლოდ გაკეთდეს ერთი შენიშვნა: როგორც გამოცდილება მოწმობს, ზოგი პროპაგანდისტი აკრიტიკებს ნაროდნიკებს იმისათვის, რომ ისინი რუსეთის განვითარების თვითმყოფურ გზას აღიარებდნენ, თან დასძენს, „წინააღმდეგ ნაროდნიკებისა" მარქსისტები რუსეთის განვითარებაში არავითარ თავისებურებას არ აღნიშნავდნენო. საკითხის ასე დაყენება, სხვა რომ არაფერი ითქვას, საკითხის გაუბრალოებას ნიშნავს. საქმის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ნაროდნიკები, როგორც ცნობილია, რუსეთის „თავისებურების" ცნებაში გულისხმობდნენ ქვეყნის ჩამორჩენილობას, უკულტურობას, პატრიარქალობას და ყოველივე ამას მიესალმებოდნენ, ხოტბას ასხამდნენ. ნაროდნიკები, ლენინის თქმით, ჩამორჩენილობას რუსეთის ბედნიერებად თვლიდნენ და თვითონ ცდილობდნენ შეებოჭათ, დაემუხრუჭებინათ საზოგადოებრივი პროგრესი. ნაროდნიკებს არ ჰქონდათ რწმენა ხალხის შემოქმედებითი ძალებისადმი, — აქედან წარმოდგებოდა მათი რეაქციული თეორიები „კრიტიკულად მოაზროვნე" პირების, „აქტიური გმირებისა" და „პასიური ბრბოს" შესახებ. ისტორიული ოპტიმიზმისა და მოქალაქეობრივი მხნეობის ნაცვლად ნაროდნიკები ხალხში პესიმიზმისა და სასოწარკვეთილების შხამიან თესლს თესავდნენ.

ნაროდნიკების საერთო დახასიათებასთან ერთად პროპაგანდისტმა უნდა აღნიშნოს მსგავსება და განსხვავება 70-იანი წლების ნაროდნიკობასა და ლიბერალურ ნაროდნიკობას შორის. როგორც ცნობილია, ლენინი ნაროდნიკობას მთლიანად წვრილბურჟუაზიულ, არასოციალისტურ მიმდინარეობად თვლიდა, მაგრამ თავის წიგნში „ხალხის მეგობრები" იგი მაინც განასხვავებდა 60-70-იანი წლების ნაროდნიკობას 80-90-იანი წლების ნაროდნიკობისაგან.

პლეხანოვისა და მისი „შრომის განთავისუფლების" ჯგუფის როლის შეფასების დროს პროპაგანდისტი მთლიანად უნდა დაემყაროს ლენინისა და სტალინის შეხედულებებს. მსმენელმა უნდა იცოდეს, რომ „შრომის განთავისუფლების" ჯგუფმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია მარქსიზმის გასავრცელებლად რუსეთში: რუსულ ენაზე თარგმნა, დაბეჭდა და ფარულად გაავრცელა მარქსისა და ენგელსის მთელი რიგი ძირითადი შრომები, ამ ჯგუფის მონაწილეებმა რუსეთის მუშებისათვის დაწერეს აგრეთვე მრავალი ორიგინალური ნაწარმოებები, რომლებშიც განმარტავდნენ მარქსიზმის მოძღვრებას, მეცნიერული სოციალიზმის იდეებს. მათ „გადამწყვეტი ლახვარი ჩასცეს ნაროდნიკობას გასული საუკუნის 80-იან წლებში"... („მოკლე კურსი". გვ. 33).

პლეხანოვის მოღვაწეობის შეფასების დროს პროპაგანდისტმა საჭიროა უამბოს მსმენელებს „შრომის განთავისუფლების" ჯგუფის სერიოზულ შეცდომებზეც, რომლებიც პლეხანოვის მომავალ მენშევიკურ შეხედულებათა ჩანასახს წარმოადგენდნენ. საჭიროა განმარტებულ იქნას, რომ „შრომის განთავისუფლების" ჯგუფი პრაქტიკულად არ იყო დაკავშირებული მუშათა მოძრაობასთან, რომ ეს ჯერ კიდევ იყო პერიოდი რუსეთში მარქსიზმის თეორიის, მეცნიერული სოციალიზმის იდეათა, სოციალ-დემოკრატიის პროგრამული დებულებების წარმოშობა-განმტკიცებისა, გაშიფრულ უნდა იქნას ლენინურ-სტალინური ცნობილი დებულება იმის შესახებ, რომ პლეხანოვის ჯგუფმა „მხოლოდ თეორიულად დააარსა სოციალ-დემოკრატია და გადადგა პირველი ნაბიჯი მუშათა მოძრაობისაკენ" (იქვე, გვ. 22).

დასასრულ პროპაგანდისტმა განსაკუთრებით უნდა გაამახვილოს მსმენელთა ყურადღება ვ. ი. ლენინის მსოფლიო-ისტორიული როლის დახასიათებაზე: მსმენელებისათვის ცხადი უნდა გახდეს, რომ ნაროდნიკობის იდეური განადგურების, მუშათა მოძრაობასთან სოციალიზმის შეერთების, აგრეთვე „შრომის განთავისუფლების" ჯგუფის შეცდომათა გასწორების ამოცანათა გადაჭრა დიდ ლენინს მოუხდა.

მეცადინეობის დამთავრების წინ პროპაგანდისტი მსმენელებს აძლევს საშინაო დავალებას და თან განუმარტავს მათ, თუ როგორ უნდა მოემზადონ მორიგი მეცადინეობისათვის. საშინაო დავალება მთლიანად უნდა უპასუხებდეს ჩატარებული საუბრის შინაარსს.

სახლში წასაკითხავად და შესასწავლად მსმენელებს ეძლევათ „მოკლე კურსის" I თავის პირველი და მეორე ქვედანაყოფი. თვალსაჩინო სახელმძღვანელოთაგან პროპაგანდისტი იყენებს მეცადინეობის დროს და აძლევს მსმენელებს სახლში გასარჩევად ზოგიერთ სქემას, ცხრილს, დიაგრამას ან რეპროდუქციას „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის ალბომიდან" (1951 წ. გამოცემა, ნაკვეთი პირველი): ფურცელი № 3—„კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში და თანამედროვე სამრეწველო პროლეტარიატის გაჩენა".

ფურც. № 4—„კაპიტალიზმის განვითარება სოფლად და გლეხობის ფენებად დაყოფა".

ფურც. № 5—„მუშების მდგომარეობა მეფის რუსეთში".

ფურც. № 6—„მუშათა მოძრაობა რუსეთში XIX ს. 70-80-იან წლებში და პირველი მუშათა ორგანიზაციები".

ფურც. № 7—„პლეხანოვი და მისი „შრომის განთავისუფლების" ჯგუფი".

**პირველი თემის მეორე მეცადინეობის (მეორე ქვეთემის) შესახებ.**

მორიგი მეცადინეობა, მიძღვნილი „მოკლე კურსის" პირველი თემის მეორე ქვეთემის (მესამე და მეოთხე ქვედანაყოფების) შესწავლისადმი, მიზანშეწონილია დაწყებულ იქნას წინათ გადაცემული მასალის აღდგენა-გამეორებით. მეცადინეობის პირველ ნაწილს უნდა მიეცეს ამხანაგური გასაუბრების ფორმა. პროპაგანდისტი ადრე მიცემული საშინაო დავალების შესაბამისად აყენებს მთელ რიგ წინასწარ მოფიქრებულ და გააზრებულ საკითხებს, რომლებმაც უნდა გამოიწვიოს მსმენელთა მაქსიმალური აქტივობა და აზრთა გაცხოველებული გაცვლა-გამოცვლა. პროპაგანდისტს კარგად უნდა ახსოვდეს, რომ გასაუბრების მაღალ იდეურ-პოლიტიკურ და თეორიულ დონეზე ჩატარებასა და მსმენელთა მიერ შესწავლილი მასალის შინაარსის ჯეროვნად შეთვისებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს მარჯვედ მოფიქრებულ და სწორად ჩამოყალიბებულ შეკითხვებს. შეკითხვებმა უნდა გამოიწვიოს არა მექანიკური პასუხი, არამედ დამსწრეთა გააზრებული მსჯელობა. მკაფიო, ზუსტი და ნათელი შეკითხვები აცხოველებს მსმენელთა ყურადღებას, აქტივებს მათ ენერგიას, გონებაში განუმტკიცებს მიღებულ ცოდნას.

გასაუბრების შედეგთა შეჯამების შემდეგ პროპაგანდისტი იწყებს ახალი მასალის გადაცემას. თავდაპირველად იგი მსმენელებს გააცნობს მიმდინარე მეცადინეობის გეგმას (სამუშაო პროგრამას), რომელიც უნდა წარმოადგენდეს უკვე შესწავლილი მასალის ისტორიულ და ლოგიკურ გაგრძელებასა და გაღრმავებას.

მეორე ქვეთემის სამუშაო გეგმა შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი სახით:

**3. ლენინის რევოლუციური მოღვაწეობის დასაწყისი.**

**პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი".**

ვ. ი. ლენინის რევოლუციური მოღვაწეობის დასაწყისი (ყაზანი, სამარა). ლენინის ჩამოსვლა პეტერბურგში. ლენინის მიერ პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის" დაარსება. მასობრივი აგიტაცია მუშებს შორის და მასობრივი გაფიცვების ხელმძღვანელობა. მუშათა მოძრაობასთან სოციალიზმის შეერთების დასაწყისი. ახალი ეტაპი მარქსიზმისა და მუშათა მოძრაობის განვითარებაში.

ლენინის დაპატიმრება. ლენინის მიერ „ბრძოლის კავშირის" მუშაობისადმი ხელმძღვანელობა ციხიდან. პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის" როლი და მნიშვნელობა.

**4. ლენინის ბრძოლა ნაროდნიკობისა და „ლეგალური მარქსიზმის" წინააღმდეგ. ლენინის იდეა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირისა. რსდმ პარტიის პირველი ყრილობა.**

ვ. ი. ლენინის ბრძოლა ნაროდნიკობის წინააღმდეგ. ლენინის წიგნი „რანი არიან „ხალხის მეგობრები" და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?". ლენინის მიერ მხილება ნაროდნიკებისა, როგორც ხალხის ყალბი „მეგობრებისა". ნაროდნიკობის იდეური განადგურება ლენინის მიერ. მუშებისა და გლეხების რევოლუციური კავშირის, როგორც ცარიზმის, მემამულეებისა და ბურჟუაზიის დამხობის მთავარი საშუალების, ლენინური იდეა.

ვ. ი. ლენინის ბრძოლა „ლეგალური მარქსიზმის" წინააღმდეგ. ლენინი რუსეთის მარქსისტების ამოცანების, მებრძოლი რევოლუციური მარქსისტული პარტიის შექმნის აუცილებლობის შესახებ.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის I ყრილობა და მისი მნიშვნელობა.

სამუშაო პროგრამის ძირითადი მომენტების მოხაზვის შემდეგ პროპაგანდისტი იწყებს გაშლილ საუბარს. იგი თავდაპირველად აშუქებს ვ. ი. ლენინის ბავშვობასა და ყრმობას. მოკლედ ახასიათებს ულიანოვების ოჯახს, ლენინის პირველ რევოლუციურ ნათლობას და სხვ. მხოლოდ 17 წლისა იყო ლენინი, როდესაც მან ნათლად გაითვალისწინა „ნაროდოვოლცების" საქმიანობის სრული მცდარობა. პროპაგანდისტი მოვალეა ლენინის ჭაბუკობის პერიოდიდან გამოჰყოს მკაფიო, დასამახსოვრებელი მომენტები: 1887 წელი, შეიტყო რა ტერორისტული ორგანიზაციის უგუნური მოქმედების ამბავი, რაშიც მისი ძმაც მონაწილეობდა, ლენინმა თქვა: „არა, ჩვენ არ წავალთ ამ გზით, ამ გზით წასვლა არ ივარგებს". ჭაბუკი ლენინი რევოლუციურ შეუდრეკლობასა და რკინის ნებისყოფას ამჟღავნებს. ყაზანის უნივერსიტეტში მოწყობილი სტუდენტთა რევოლუციური გამოსვლების ხელმძღვანელობისათვის 1887 წელს ვ. ი. ლენინი დააპატიმრეს. ბოქაული ლენინს შეეკითხა: „რად ჯანყობ, ყმაწვილო? შენს წინ ხომ კედელია აღმართული!" — დიახ, კედელი, მაგრამ ძირდამპალი. უბიძგებ და დაინგრევა,—მკვახედ მიუგო ლენინმა. ციხეში მყოფ ახალგაზრდა ლენინს ამხანაგები შეეკითხნენ: „რას გააკეთებ ციხიდან გასვლის შემდეგ?"—„ჩემი გზა უკვე არჩეულია,—ეს რევოლუციური ბრძოლის გზაა",—შთაგონებით განაცხადა ლენინმა.

**პროფ. ე. ბურჯულაძე**

(დასასრული იქნება)

## გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სხდომაზე

**ბერლინი**, 26 ოქტომბერი. (საქდესი). ადნ-ის სააგენტო გადმოგვცემს:

გუშინ გაიმართა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სხდომა, რომელზეც პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ჰენრიხ რაუმ დაასაბუთა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის კანონპროექტი. ამ კანონპროექტის საფუძველია ხუთწლიანი გეგმა, რომელიც გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის მე-3 ყრილობამ მიიღო 1950 წელს. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სხვა პარტიებმა და მასობრივმა ორგანიზაციებმა შეიტანეს დაწერილებითი წინადადებანი, რომლებიც გათვალისწინებულ იქნა კანონპროექტის შემუშავებისას. მინისტრთა საბჭომ კანონპროექტი მოიწონა და დაადგინა დასამტკიცებლად გადაეცეს იგი სახალხო პალატას.

შემდეგ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიის სტატს-მდივანმა ლაიშნერმა სხდომას მოახსენა 1951 წლის მესამე კვარტალის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულების შესახებ. ლაიშნერმა აღნიშნა მთელი მეურნეობის შემდგომი განვითარება და რესპუბლიკის მოსახლეობის მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება. სამრეწველო წარმოების გეგმა შესრულებულია 104 პროცენტით. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსების მომენტიდან საერთო სამრეწველო წარმოება 50 პროცენტით და მეტით გადიდდა. სოფლის მეურნეობაც აღმავალი ხაზით ვითარდება.

სახალხო-სამეურნეო გეგმის ასე წარმატებით შესრულება 1951 წლის მესამე კვარტალში შესაძლებელი გახდა, უწინარეს ყოვლისა, სახალხო საწარმოებში შრომითი შეჯიბრების განვითარების მეოხებით, რომელშიც მესამე კვარტალის მანძილზე მონაწილეობა მიიღო მილიონზე მეტმა მშრომელმა, აგრეთვე წარმოების აქტივისტთა მოძრაობის გაძლიერების მეოხებით.

ამათის შემდეგ მინისტრთა საბჭომ მოიწონა ლაიშნერის მოხსენება.

შემდეგ მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება შრომის დაცვის შესახებ.

## გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 1951 წლის მე-3 კვარტალის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულების შედეგები

**ბერლინი**, 26 ოქტომბერი. (საქდესი). დღეს ბერლინში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ინფორმაციის უწყებაში მოეწყო პრეს-კონფერენცია, რომელზეც სახელმწიფო საგეგმო კომისიის სტატს-მდივანმა ლაიშნერმა გამოაქვეყნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ 1951 წლის მე-3 კვარტალის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულების შედეგები.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეურნეობამ 1951 წლის მე-3 კვარტალში, ხუთწლიანი გეგმის პირველ წელს, ახალ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. მოსახლეობის მატერიალური და კულტურული დონე მნიშვნელოვნად ამაღლდა.

საერთო პროდუქციის წარმოების გეგმა მე-3 კვარტალში მთლიანად მრეწველობის ხაზით შესრულებულია 104 პროცენტით. გასული წლის მე-3 კვარტალთან შედარებით გადაჭარბება შეადგენს 21,3 პროცენტს.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარებას ახასიათებს უმთავრესად მარცვლეული და ზეთოვანი კულტურების უხვი მოსავალი და პირუტყვის სულადობის მნიშვნელოვნად გადიდება.

მე-3 კვარტალში გრძელდებოდა საგარეო ვაჭრობის საქონელბრუნვის შემდგომი ზრდა, რომელიც გასული წლის მე-3 კვარტალთან შედარებით 78,5 პროცენტით გადიდდა.

საშინაო საქონელბრუნვის გეგმა მე-3 კვარტალში შესრულებულია 101,3 პროცენტით.

მნიშვნელოვანი წარმატებებია მიღწეული კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში.

## გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური გამგეობის სამდივნოს კომუნიკე

**ბერლინი**, 26 ოქტომბერი. (საქდესი). როგორც ადნ-ის სააგენტო დიუსელდორფიდან გადმოგვცემს, გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა გამგეობამ გამოაქვეყნა კომუნიკე თავისი 1951 წლის 23 ოქტომბრის სხდომის შესახებ. კომუნიკეში ნათქვამია:

„გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური გამგეობის სამდივნომ თავის 1951 წლის 23 ოქტომბრის სხდომაზე შეისწავლა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მე-7 პლენუმის გადაწყვეტილება გერმანიის ერთიანობისათვის ბრძოლის გაძლიერების შესახებ.

სამდივნო მიესალმება ამ გადაწყვეტილებას. იგი ხაზგასმით აღნიშნავს განსაკუთრებულ მნიშვნელობას, რაც ხსენებულ გადაწყვეტილებას აქვს მთელ გერმანიაში ეროვნული კრების თავისუფალი არჩევნების მოსაწყობად სრულიად გერმანიის თათბირის განხორციელებისათვის და 1951 წელს საზავო ხელშეკრულების დადებისათვის.

სამდივნო ავალებს პარტიის ყველა წევრსა და ფუნქციონერს ეს გადაწყვეტილება განიხილონ ყველა ძირეულ ორგანიზაციაში, აგრეთვე მიიღონ გადაწყვეტილება სოციალ-დემოკრატ მუშებს, ქრისტიან დემოკრატთა კავშირის წევრ და უპარტიო მუშებს შორის მუშაობის მოწყობის შესახებ".

## ვილჰელმ პიკი ბერლინს დაბრუნდა

**ბერლინი**, 26 ოქტომბერი. (საქდესი). დღეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი ვილჰელმ პიკი პრაღიდან ბერლინს დაბრუნდა. მასთან ერთად ჩამოვიდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის წევრები.

პრეზიდენტ ვ. პიკის ბერლინში დაბრუნებასთან დაკავშირებით აღმოსავლეთის ვაგზლის წინ მოედანზე, რომელიც შემკული იყო ი. ბ. სტალინის, ვ. პიკისა და კ. გოტვალდის პორტრეტებით, გაიმართა ბერლინის მშრომელთა მრავალათასიანი მიტინგი. მიტინგზე გამოვიდნენ პრემიერ-მინისტრი ოტო გროტევოლი და პრემიერ-მინისტრის მოადგილე ოტო ნუშკე.

## პარლამენტის არჩევნები ინგლისში

### ლეიბორისტების დამარცხება

**ლონდონი**, 26 ოქტომბერი. (საქდესი). დღეს საღამოს (21 საათზე მოსკოვის დროით) 615 საარჩევნო ოლქში დამთავრდა ინგლისის პარლამენტის ქვედა პალატის — თემთა პალატის დეპუტატთა გუშინდელ არჩევნებში მიცემული ხმების დათვლა. აღნიშნულ 615 ოლქში ლეიბორისტებმა მიიღეს 292 მანდატი, კონსერვატორებმა და მათმა მომხრეებმა — 316 მანდატი, ლიბერალური პარტიის კანდიდატებმა — 5 მანდატი და დანარჩენმა კანდიდატებმა — 2 მანდატი.

ხმის დათვლა არ დამთავრებულა 10 საარჩევნო ოლქში; ამ ოლქებიდან ხუთში ხმის მიცემის შედეგები უფრო გვიან გამოცხადდება.

იმ ოლქებში, სადაც ხმის დათვლა დამთავრებულია, ლეიბორისტებმა დაკარგეს 20 მანდატი წინანდელი არჩევნების შედეგებთან შედარებით, კონსერვატორებმა მოიგეს 22 მანდატი. ამრიგად, კონსერვატორებს თემთა პალატაში უკვე ახლა აქვთ ხმის აბსოლუტური უმრავლესობა.

## ლეიბორისტული მთავრობის გადადგომა

**ლონდონი**, 26 ოქტომბერი. (საქდესი). რეიტერის სააგენტოს ცნობით, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ეტლიმ მეფეს გადასცა განცხადება თავისი მთავრობის გადადგომის შესახებ.

## ინგლისის მთავრობის შედგენა დაევალა ჩერჩილს

**ლონდონი**, 26 ოქტომბერი. (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ინგლისის მეფემ ოფიციალურად დაავალა ჩერჩილს ინგლისის ახალი მთავრობის შედგენა.



უოლ-სტრიტის ოზერჟუმბარა ინგლისის პრემიერ-მინისტრის სავარძელში.

ნახატი გ. ლომიძისა

# კორეის ამბები

### კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

**ფხენიანი**, 26 ოქტომბერი. (საქდესი). კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაქვეყნა ცნობა, რომ კორეის სახალხო არმიის ნაწილებმა ჩინელ სახალხო მოხალისეთა რაზმებთან მჭიდრო თანამოქმედებით 25 სექტემბრიდან 25 ოქტომბრამდე ძლიერი დარტყმები აგემეს იერიშზე გადმოსულ ამერიკელ-ინგლისელ ინტერვენტთა ჯარებსა და ლისინმანელთა არმიას და ამით ჩაშალეს მათი შეტევითი მოქმედება. მტერმა დიდი ზარალი ნახა ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

## სინხუას სააგენტო აზიის ქვეყნებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლის ამერიკულ-ინგლისური გეგმების შესახებ

**პეკინი**, 26 ოქტომბერი. (საქდესი). სინხუას სააგენტოს ცნობით, მალე სინგაპურში დაბანაკებულ იქნება 3 დივიზია მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების ეგრეთწოდებული „სარეზერვო ნაწილების" შემადგენლობიდან. ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტრომ ამ ნაწილების წინაშე დასახა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში მზარდი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობის ამოცანა.

ვაშინგტონიდან მიღებული ცნობების თანახმად, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლის ეს გეგმა მიღებულ იქნა ინგლისის, საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირზე, რომელიც 12 სექტემბერს გაიმართა ვაშინგტონში.

ასეთი „სარეზერვო ნაწილების" შემადგენლობაში შევა 9 სახმელეთო დივიზია და 15 საავიაციო შენაერთი. იაპონიამ უნდა გამოიყვანოს 3 სახმელეთო დივიზია, გოლანდიელებმა — 2, საფრანგეთმა — 2 და ინგლისმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა—თითო დივიზია. ამერიკის შეერთებული შტატები ჩამოაყალიბებენ 15 საავიაციო შენაერთს, რომლებიც შედგენილი იქნება ბომბდამშენებისა და დამჭერ ავიაგამანადგურებლებისაგან. უმაღლესი სარდლობა ამერიკელთა ხელში იქნება.

1952 წლის ივნის-ივლისისათვის „სარეზერვო ნაწილები" შეივსება იაპონიის ორი და ფილიპინების ერთი დივიზიით. ამერიკის გეგმის თანახმად, „სარეზერვო ნაწილები" გამოყენებულ იქნება „სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ყველაზე საშიშ რაიონებში", ე. ი. სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ.

მას შემდეგ, რაც ხელი მოაწერეს იაპონიასთან „საზავო" ხელშეკრულებას და სამხედრო შეთანხმებას იაპონიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის, ამერიკის წარმომადგენელმა ვაშინგტონის თათბირზე ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს და მათ მოკავშირეებს შეუძლიათ აშკარად გამოიყენონ კორეის ომსა და სხვა ომებში იაპონიის ადამიანთა ძალები და ბუნების სიმდიდრენი.

ამ „სარეზერვო ნაწილებში" უკვე არის 15 ათასზე მეტი იაპონელი ჯარისკაცი, რომლებიც გაიგზავნებიან სინგაპურში საბრძოლო მომზადების კურსის დასამთავრებლად.

## კორეაში ჩინელ მოხალისეთა ბრძოლის პირველი წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა ფხენიანში

**ფხენიანი**, 26 ოქტომბერი. (საქდესი). 24 ოქტომბერს ფხენიანში გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა ამერიკელი ინტერვენტების წინააღმდეგ კორეელი ხალხის სამამულო ომში ჩინელ სახალხო მოხალისეთა მონაწილეობის პირველ წლისთავს.

სხდომის დარბაზი მორთულია გენერალისიმუს ი. ბ. სტალინის, მაო ძე-დუნისა და კიმ ირ სენის პორტრეტებით და ლოზუნგებით ჩინელ სახალხო მოხალისეთა პატივსაცემად, ჩინელ და კორეელ ხალხთა მეგობრობის პატივსაცემად.

სხდომას დაესწრნენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, კორეის სახალხო არმიისა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა წარმომადგენლები.

მთელი დარბაზის მქუხარე ოვაციით საზეიმო სხდომის საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს გენერალისიმუსი ი. ბ. სტალინი, მაო ძე-დუნი და კიმ ირ სენი.

ღირსშესანიშნავი წლისთავისადმი მიძღვნილი მოხსენება გააკეთა კორეის სახალხო არმიის პოლიტიკური სამმართველოს უფროსმა გენერალმა კიმ ირმა.

მომხსენებელმა მაღალი შეფასება მისცა ჩინელ სახალხო მოხალისეთა გმირულ გამარჯვებებს, რაც მათ განვლილი წლის მანძილზე მოიპოვეს. დასასრულ მან გამოთქვა აგრესორებზე საბოლოო გამარჯვების რწმენა.

სხდომაზე მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე ერთიანი დემოკრატიული სამამულო ფრონტის წარმომადგენელმა პან სიონ ენმა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა წარმომადგენელმა.

## ეგვიპტის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება

**კაირო**, 26 ოქტომბერი. (საქდესი). დღეს ეგვიპტის საგარეო საქმეთა მინისტრმა სალაჰ ედ-დინ-ფაშამ პრეს-კონფერენცია მოაწყო.

უპასუხა რა კითხვაზე, სალაჰ ედ-დინ-ფაშამ უარყო ცნობა ინგლის-ეგვიპტის დავაში ამერიკის შუამავლობის შესახებ.

სალაჰ ედ-დინ-ფაშამ განაცხადა, რომ ეგვიპტის ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან მეგობრულია, შეეფერება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დებულებებს და რომ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის საკითხი მომავალში იმავე საფუძველზე იქნება განხილული.

საგარეო საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, რომ უკვე წავიდა ინგლისთან რაიმე ახალი მოლაპარაკების დრო და რომ ოთხი სახელმწიფოს (ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და თურქეთის — რედ.) წარმომადგენლებს გარკვეული პასუხი მიეცათ: არავითარი მოლაპარაკება, სანამ ინგლისის ჯარები ეგვიპტეში არიან.

კითხვაზე ეგვიპტის მიმართ ამერიკის პოლიტიკის შესახებ სალაჰ ედ-დინ-ფაშამ თქვა: „მე მგონია, რომ შეერთებული შტატები ეგვიპტის საკითხს განიხილავენ ერთი თვალსაზრისით, სახელდობრ, სამხედრო თვალსაზრისით, მსოფლიო ომისათვის მზადების თვალსაზრისით".

ეგვიპტის მიმართ საფრანგეთის პოლიტიკის შესახებ სალაჰ ედ-დინ-ფაშამ თქვა: „საფრანგეთს, ისევე როგორც ინგლისს, იმპერიალისტური მისწრაფებები აქვს შუა აღმოსავლეთში. ორივე ქვეყანა 1904 წლიდან ერთმანეთთან დაკავშირებულია იმპერიალისტური ხელშეკრულებით და პოლიტიკით, რომელიც დამღუპველი იყო ჩრდილოეთ აფრიკისა და შუა აღმოსავლეთისათვის."

სალაჰ ედ-დინ-ფაშამ კვლავ დაადასტურა, რომ არავითარი მოლაპარაკება და დისკუსია არ იქნება არც ამერიკასთან და არც რომელიმე სხვა ქვეყანასთან, სანამ ინგლისის ჯარები გაყვანილ არ იქნებიან ეგვიპტიდან და უზრუნველყოფილ არ იქნება ეგვიპტისა და სუდანის ერთიანობა. მან დასძინა, რომ ეგვიპტე მზად არის გადადგას ყოველგვარი ნაბიჯი ამ მიზნის მისაღწევად და რომ მთავრობა ხალხთან ერთად მზად არის გაიღოს ამისთვის ყოველგვარი მსხვერპლი.

სუეცის არხით ნაოსნობის შესახებ ეგვიპტის საგარეო საქმეთა მინისტრმა თქვა, რომ ეგვიპტეს უფლება აქვს და ბოიკოტს გაუწევს ინგლისის ყველა სამხედრო გემს და დაბრკოლებას შეუქმნის არხით მათ მიმოსვლას.

## სუდანის ხალხი მოითხოვს ინგლისის ჯარების გაყვანას სუდანიდან

**კაირო**, 26 ოქტომბერი. (საქდესი). პრესის ცნობით, გუშინ ხართუმში და სუდანის სხვა ქალაქებში გრძელდებოდა ინგლისელი იმპერიალისტების წინააღმდეგ მიმართული დემონსტრაციები. გაზეთ „ალ-მისრის" ხართუმელი კორესპონდენტი იუწყება, რომ გუშინ საღამოს სუდანის დედაქალაქის ქუჩები და მოედნები გაივსო ათასობით დემონსტრანტით, რომლებსაც წინ მიუძღოდა 7 ათასზე მეტი რკინიგზელი. დემონსტრანტებმა გაიარეს მთელი ქალაქი, წარმოთქვამდნენ ინგლისელი ინტერვენტების წინააღმდეგ მიმართულ ლოზუნგებს და მოითხოვდნენ ინგლისის შეიარაღებული ძალების დაუყოვნებლივ ევაკუაციას. ინგლისელთა პოლიცია თავს დაესხა დემონსტრანტებს, მაგრამ ვერ შეძლო მათი გაფანტვა.

## ანტიიმპერიალისტური დემონსტრაცია ერაყში

**ბეირუთი**, 26 ოქტომბერი. (საქდესი). გაზეთი „ორიანი" იუწყება, რომ გუშინ ბასრაში (ერაყი) გაიმართა დიდი ანტიიმპერიალისტური დემონსტრაციები. დემონსტრანტებმა გაიარეს ქალაქის ქუჩები. ისინი გაიძახოდნენ ლოზუნგებს ინგლისელი იმპერიალისტების წინააღმდეგ და მოითხოვდნენ, რომ ერაყმა მხარი დაუჭიროს ეგვიპტეს ინგლისური ოკუპაციის წინააღმდეგ მის ბრძოლაში.

პოლიციელებმა დემონსტრაციის დაშლის მიზნით ცეცხლი იხმარეს, დემონსტრანტებს შორის არიან დაჭრილნი. დემონსტრაციის ბევრი მონაწილე დააპატიმრეს.

## პოლიციის ტერორი ერაყში

**პრაღა**, 26 ოქტომბერი. (საქდესი). ტელეპრესის სააგენტოს ცნობით, 24 ოქტომბერს ერაყის მთავრობამ აკრძალა ერაყის მშვიდობის მომხრეთა ორგანო ყოველკვირეული „ალ-პიდა".

გამოვიდა ამ ყოველკვირეულის მხოლოდ ერთი ნომერი. ამავე დროს დახურეს კიდევ ერთი პროგრესული გაზეთი „ალ-არი".

წინათ იუწყებოდნენ, რომ ასობით ერაყელი მშვიდობის მომხრე საპყრობილეში მოათავსეს.

## შეწყდეს ეგვიპტის ოკუპაცია!

**პრაღა**, 26 ოქტომბერი. (საქდესი). როგორც ტელეპრესის სააგენტო ნიქოზიიდან (კუნძული კვიპროსი) იუწყება, 24 ოქტომბერს კვიპროსის მშრომელთა პროგრესული პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ ინგლისელი იმპერიალისტების აგრესიული მოქმედება ეგვიპტეში წარმოადგენს ეგვიპტის დამოუკიდებლობისა და მთლიანობის დარღვევას და მის საშინაო საქმეებში ჩარევას. განცხადებაში აგრეთვე გამოთქმულია პროტესტი იმის წინააღმდეგ, რომ კვიპროსს, იყენებენ როგორც ბაზას ეგვიპტეში ინგლისის ჯარების გადასაყვანად.

## პროტესტები ეგვიპტეში ინგლისელი იმპერიალისტების თვითნებობის წინააღმდეგ

**კარაჩი**, 26 ოქტომბერი. (საქდესი). როგორც გაზეთი „დოონი" იუწყება, ქალაქ კარაჩის მშვიდობის დაცვის კომიტეტმა 24 ოქტომბერს მიიღო რეზოლუცია, რომელიც გმობს „ინგლისის შეიარაღებულ ინტერვენციას ეგვიპტეში". კომიტეტმა მოითხოვა ინგლისის ჯარების სრული ევაკუაცია ნილოსის ველის ქვეყნებიდან.

რეზოლუციაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ „ეგვიპტელი ხალხის სურვილის წინააღმდეგ ინგლისის ჯარების ყოფნა ეგვიპტის მიწა-წყალზე საფრთხეს უქმნის მშვიდობის საქმეს".

## ახალი სამხედრო ორგანიზაციის შექმნა ფინეთში

**ჰელსინკი**, 26 ოქტომბერი. (საქდესი). გაზეთი „ტიუეკანსან სანომატ" აღნიშნავს, რომ ფინეთის სხვადასხვა კუთხიდან ყოველდღე მოდის სულ ახალ-ახალი შემაშფოთებელი ცნობები ფინეთში სამხედრო ორგანიზაციის შექმნის შესახებ.

გაზეთი იუწყება, რომ დაბა კოუვოლაში მუშებს „შესამოწმებლად" მოსთხოვეს მათი სამხედრო ბილეთები. როცა მუშებმა სთხოვეს განემარტათ, რით არის გამოწვეული ასეთი ღონისძიებაო, მათ უპასუხეს, რომ იგი დაკავშირებულია „სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის" ორგანიზაციების შექმნასთან, და რომ ასეთი ორგანიზაციების შექმნა „მოითხოვს ზოგიერთ ცნობას". მაგრამ მუშებმა უარი თქვეს ადმინისტრაციის მოთხოვნის შესრულებაზე და განაცხადეს, რომ არ სურთ მონაწილეობა მიიღონ ომის მომზადებაში, არამედ უნდათ ხელი შეუწყონ მშვიდობის საქმის განმტკიცებას.

დაბა ლაიხიაში ამას წინათ ჩავიდა ფინეთის არმიის ოფიცერთა ჯგუფი, რომელიც გაეცნო ადგილობრივ გზატკეცილებს, კავშირგაბმულობის საშუალებებსა და ამ რაიონში საჯარისო შენაერთების განლაგების შესაძლებლობებს.

დაბა ხიმანკაშიც, რომელიც ფინეთის დასავლეთ საზღვარზე მდებარეობს, ერთხანს იმყოფებოდა ოფიცერთა ჯგუფი, რომელმაც გამოიკვლია ადგილობრივი ნავსადგურის სიღრმე, გემისადგომთა რაოდენობა, ნავსადგურისაკენ მიმავალი გზები და სხვ.

„ტიუეკანსან სანომატი" აღნიშნავს, რომ ფინეთის საზღვრისპირა რაიონებში გრძელდება ცხენის სულადობის აღრიცხვა.

პრესა იუწყება, რომ ჰელსინკის მოსახლეობის დაცვის საქალაქო კომისიამ გუშინ გადაწყვიტა წინადადება მისცეს მუნიციპალიტეტს ფინეთის არმიის ერთ-ერთი ყველაზე რეაქციონერი გენერალი — ეკვისტი დანიშნოს „სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის" ადგილობრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელად და ორგანიზატორად.

ამ სხდომაზე კომისიის წევრს სახალხო დემოკრატს საარინენს არ დართეს ნება გაეცნო შინაგან საქმეთა სამინისტროს დირექტივებს, რომლებიც „სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის" ორგანიზაციის შექმნას შეეხება.

## საინტერესო აღმოჩენა

საქართველოს [illegible] ისტორიის [illegible] ექსპედიციამ [illegible] არქეოლოგიური ძეგლი — მავზოლეუმის ტიპის სამარხი. იგი აშენებულია თლილი ქვით და გადახურულია ძველებური კრამიტით.

როგორც დასტურდება, ეს არქეოლოგიური ძეგლი საქართველოს წინაფეოდალურ ეპოქას ეკუთვნის და წარმოადგენს იმდროინდელი არქიტექტურის ნიმუშს. ასე კარგად დაცული იმდროინდელი ნაგებობა საქართველოში ეს პირველია.

ექსპედიციამ სამარხში იპოვნა ოქროს ნივთები, ქვისა და მინის თვლები, ნამტვრევები ქვიული ვერცხლის ჭურჭლის. განსაკუთრებით საყურადღებოა ბრინჯაოს ქანდაკება, რომელიც საკრავზე მომღერალ ჭაბუკს გამოხატავს.

აღნიშნული არქეოლოგიური ძეგლის აღმოჩენა ახლებურად აყენებს და აშუქებს ჩვენი კულტურის ისტორიის ზოგ საკითხს.

## მშვიდობის დაცვისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო

29 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, პლეხანოვის სახელობის კლუბში შედგება მშვიდობისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო.

შესავალ სიტყვას წარმოთქვამს გიორგი ლეონიძე. მოხსენებას — „ქართული საბჭოთა მწერლობა მშვიდობისათვის ბრძოლაში" გააკეთებს ბ. ჟღენტი.

სიტყვებით გამოვლენ: შ. დადიანი, გ. ქიქოძე, რ. ჯაფარიძე. მშვიდობისადმი მიძღვნილ ლექსებს წაიკითხავენ პოეტები: ი. აბაშელი, გ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, შ. ამისულაშვილი, ი. გრიშაშვილი, ვ. გორგანელი, ა. გეწაძე, ა. თევზაძე, კ. კალაძე, ა. კალანდაძე, გ. კაჭახიძე, მ. ლებანიძე, რ. მარგიანი, მ. მაჭავარიანი, ა. მეგრელიშვილი, ი. მოსაშვილი, მ. მრევლიშვილი, ი. ნონეშვილი, ა. სულაკაური, ნ. ჩაჩავა, შ. შაველაშვილი, ო. ჭელიძე, ი. ხოშტარია, თ. ჯანგულაშვილი.

შესვლა მოსაწვევი ბარათებით.

## გიგო გაბაშვილის ხსოვნის აღსანიშნავი საღამო

29 ოქტომბერს საღამოს 8 საათზე ხელოვნების მუშაკთა სახლში (მახარაძის ქ. № 8) შედგება გამოჩენილი ქართველი მხატვრის გიგო გაბაშვილის ხსოვნის აღსანიშნავი საღამო.

შესავალ სიტყვას წარმოთქვამს საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირის თავმჯდომარე სახალხო მხატვარი უჩა ჯაფარიძე. მოხსენებას თემაზე „გ. გაბაშვილი — ქართული რეალისტური მხატვრობის ფუძემდებელი" — გააკეთებს დ. ჯანელიძე. მოგონებით და სიტყვებით გამოვლენ სახალხო მხატვარი აკადემიკოსი მ. თოიძე, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფესორი შ. ამირანაშვილი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწენი ი. შარლემანი და ა. ქუთათელაძე.

დასასრულ მხატვრული განყოფილება.

## შოთა რუსთაველის სახელობის თეატრში

ორშაბათს, 29 ოქტომბერს, რუსთაველის სახელობის თეატრში წარმოდგენილი იქნება შექსპირის პიესა „ოტელო".

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში.

## დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში"

**პირველი გვერდი** — „პრავდის" 27-X მოწინავე — მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის. საერთო სათაურით „საოქტომბრო მშვიდობის ვახტა" წერილები: თვითღირებულების შემცირებისათვის. მოწინავე მშენებელი კოლექტივი. ფეროშენადნობი გეგმის გადამეტებით. ბათუმის საწარმოებში. პირველი გამოცდა.

საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში.

**მეორე გვერდი** — ჩვენი მძლავრი სამშობლო. ამიერკავკასიის რესპუბლიკებში. პასუხი მკითხველთა შეკითხვებზე — მშვიდობის მსოფლიო საბჭო. ბ. ჩხეიძე — მესკრეპერე — იასონ თურქიშვილი.

**მესამე გვერდი** — ლიტერატურა და ხელოვნება — მებრძოლი მწერალი. ქართველი კომპოზიტორების ახალ ნაწარმოებთა თაობაზე. სამგორი ქართველი მხატვრების შემოქმედებაში. შ. ამირანაშვილი — ქართული რეალისტური მხატვრობის ფუძემდებელი (გ. გაბაშვილის გარდაცვალებიდან 15 წლისთავის გამო).

სომხეთის მეცხოველეობის მუშაკები საქართველოში.

ინგლისის პარლამენტის არჩევნები.

**მეოთხე გვერდი** — დღიური — ეგვიპტეში. ნატურალისტის ჩანაწერი — ფოთოლთცვენა. ქალაქის ქრონიკა. უცხოეთის ინფორმაციები.

**პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე ი. ნატროშვილი**

## საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

**(რადიოსადგურებით 1224 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით).**

**29 ოქტომბერს**

6.45 — მარშები. 9.20 — მუსიკალური ნაწყვეტები კინოფილმებიდან. 18.00 — ამხანაგ ტიტარენკოს ლექცია მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაშრომების შემსწავლელთა დასახმარებლად: „ამხანაგ სტალინის შრომის შესახებ „ოქტომბრის რევოლუცია და რუსი კომუნისტების ტაქტიკა". 18.30 — გადაცემა მოსწავლეთათვის. 19.15 — კონცერტი. 20.30 — ქალაქის ქსელით — კამერული მუსიკის კონცერტი. 20.30— რადიოსადგურებით — გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის. 20.45 — ქართული ხალხური სიმღერების კონცერტი. 21.30 — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ელენე ეპიტაშვილის კონცერტი. 21.55 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი. 22.40 — ლიტერატურული გადაცემა — ლექსები ახალმშენებლობებზე. 23.00 — საოპერო მუსიკის კონცერტი. 24.00— კონცერტი სახალხო დემოკრატიის ქვეყნების კომპოზიტორთა ნაწარმოებებიდან.

## დღეს თეატრებში

**ოპერისა და ბალეტის** — „ვეფხი აიბოლიტი" (დილას), „აბესალომ და ეთერი" (საღამოს, მე-8 აბ.); **რუსთაველის სახელობის** — „ყაჩაღები" (დილას და საღამოს); **მარჯანიშვილის სახელობის** — „მე-12 ღამე" (დილას), „ანტონიოს და კლეოპატრა" (საღამოს); **გრიბოედოვის სახელობის** — „სიყვარულთან ხუმრობა არ შეიძლება" (დილას), „ჰორიზონტს იქით" (საღამოს, მე-17 და 21-ე აბ.); **სომხური დრამის** — „ოქროს ქალაქი" (დილას), „საიათ-ნოვა" (საღამოს); **მუსიკალური კომედიის** — „თბილისის ცის ქვეშ" (დილას და საღამოს); **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — „ბედნიერებისაკენ" (56-ე აბ. 12 ს.), „სიჭაბუკე ბელადისა" (40-ე აბ. 7 ს.); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — „განწირულნი" (10 ს.), „ძაღლი ბაგაში" (4 და 7 ს.); **თოჯინების ქართული** — „გაზაფხულის ყვავილი" (11 ს.).

## დღეს კინოებში

**რუსთაველის სახელობის, „ოქტომბერი", „ამირანი"** — „სიცილიის ცის ქვეშ"; **„კომკავშირელი"** — „ერთი ცხოვრების ისტორია"; **კიროვის სახელობის** — „პეტერი"; **„თბილისი"** — „დაბმული წრე"; **„სპარტაკი"** — „ვენური კვარტეტი"; **26 კომისრის სახელობის** — „ჩემი საუნჯე"; **„ისანი"** — „არინკა".


ნოტარიუსი **ივანეზ ხიმონის-ძე კანდაქროვმა**, მცხოვრებმა ახალუბნის ქ. № 3, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **მარია მიხეილის ასულ ზალიიანთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს 26 კომისრის რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლო.

ძმები ზურაბ, ვალოდია, დები ვერა, კატო, სონა, ანა, ბაბუცა ოჯახებით იუწყებიან, რომ 28-X, 2 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია **ვანო გრიგოლის-ძე წერეთლის** პანაშვიდი.

მეუღლე ანეტა, შვილები ვახტანგ, ირაკლი, თინა, მერი ჩიხლაძეები, რძლები ზ. საღარეიშვილი, ქ. სეხნიაშვილი იუწყებიან **ალექსანდრე ონისიმეს-ძე ჩიხლაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 30-X, ს. ცხრაწყაროში (ზესტაფონის რ.).

მეუღლე ჰისტი, შვილი გიორგი, ძმა იორამ, რძალი თეკლე, ძმისწულები ვანო, ქენია, თამარ ფირცხალაიშვილები იუწყებიან **ალექსი გიორგის-ძე ფირცხალაიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 30-X, ს. შუხუთში (ლანჩხუთის რ.).

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მებაღეობის ფაკულტეტის, რუსული ენისა და ჰიდრომელიორაციის კათედრების თანამშრომლები იუწყებიან **კონსტანტინე მაქსიმეს-ძე ნადარეიშვილის** გარდაცვალებას.

შვილები მარო, ვასილ, ბაბულა, გიორგი ანდრიაძეები ოჯახებით იუწყებიან **აგრაფინა ბესარიონის ასულ ანდრიაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 30-X, ქ. ქუთაისში. გამოსვენება ნინოშვილის, 82.

დედა ლიზა, მეუღლე შალვა, შვილები ავთანდილ, იზოლდა, ზურაბ, თინა, და მედეა, ძმები ბიძინა, კიკუშა, რძლები არლეტა, ცაცა, სიძე გ. ჩლაიძე იუწყებიან, რომ 28-X, 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **მარო აბაშიძე-ბაქრაძის** პანაშვიდი.

დედა გულჩინა ხაზარაძე, დები ეკატერინე, მარიამ, ელენე, ძმები კონსტანტინე, გიორგი, ნიკოლოზ ოჯახებით იუწყებიან, რომ 28-X, 3 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია **ვლადიმერ ილარიონის-ძე ხაზარაძის** პანაშვიდი.

შვილიშვილი იზოლდა, სიძე შოთა ბოჭორიშვილი ოჯახით იუწყებიან **მინადორა ჩხაიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 28-X, ახალ აბაშაში.

ცოლისძმები ნემსისი, მერაბ, დავით, რძლები თინა, თამარ, ნათელა, ცოლისდები მანია, ნორა ზირაქაძეები იუწყებიან **ვალიკო კარპოს-ძე გოცირიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 28-X, 5 ს. ს. ზედა დიმში (მაიაკოვსკის რ.).

მამა შალვა, ძმა აკაკი, დები შანა, თამარ ადეიშვილები იუწყებიან **იურა შალვას-ძე ადეიშვილის** გარდაცვალებას.

საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობის ტრესტი იუწყება **პოლიქტორ იონას-ძე ბურკაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 28-X, ვანის რაიონში.

თბილისის მოლოტოვის რაიონის საფინანსო განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან **კარლო ეფრემის-ძე ბეგიაშვილის** გარდაცვალებას.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პალეობიოლოგიის სექტორის თანამშრომლები იუწყებიან **ბარბალე ლუკას ასულ ჭელიძის** გარდაცვალებას.



რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88. განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეოსი — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურის, ყოფა-ცხოვრებისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და ინფორმაციის — 3-80-84, მშრომელთა წერილების—3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 03231